ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი 2

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პარლამენტებში

OSCE ODIHR

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი 2: ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პარლამენტებში

Office for Democratic Institutions and Human Rights
OSCE ODIHR

სამადლობელი: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) მადლობას უხდის სტოკჰოლმის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ლენიტა ფრეიდენვალს წინამდებარე ინსტრუმენტის (ინსტრუმენტი 2: ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პარლამენტებში) მომზადებისთვის, ხოლო რაიხმანის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორს, ჯენიფერ შკაბატურს ინფორმაციის მოგროვებისა და ორი დანართის შედგენისთვის.

ODIHR ასევე მადლობას უხდის მკვლევრებს, პრაქტიკოსებსა და ექსპერტებს აკადემიური წრეებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან, რომლებიც ეუთოს რეგიონსა და სხვა რეგიონებში საქმიანობენ და რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს წინამდებარე ინსტრუმენტის შექმნაში. ODIHR ასევე აღნიშნავს საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) წარმომადგენლების, განსაკუთრებით, ბრიგიტ ფილიონის როლს, რომელმაც წერილობით მოგვაწოდა კომენტარები ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებით.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები
ინსტრუმენტი 2: ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა პარლამენტებში

გამოქვეყნებულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ.
მიოდოვას ქ. 10
00–251 ვარშავა
პოლონეთი
www.osce.org/odihr

© OSCE/ODIHR 2022 ყველა უფლება დაცულია. ამ პუბლიკაციის შინაარსი შეიძლება თავისუფლად იქნას გამოყენებული და კოპირებული საგანმანათლებლო და სხვა არაკომერციული მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ამგვარი გამოყენებისას წყაროდ მიეთითება OSCE/ODIHR.

ISBN: 978-92-9271-091-0

დიზაინი: Michael Lusaba
ილუსტრაციები: Aida Hercegas

SCAN ME

შინაარსი

შესავალი **01**

პარლამენტებში ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ არსებული მდგომარეობა და მონაცემები **03**

პარლამენტებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ზომები და კარგი პრაქტიკები **10**

პრევენცია 12

პრევენცია – გზამკვლევი პარლამენტთათვის 25

დაცვა 27

დაცვა – გზამკვლევი პარლამენტთათვის 32

სამართლებრივი დევნა 33

ინციდენტების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა – გზამკვლევი პარლამენტთათვის 37

კოორდინირებული პოლიტიკა 38

კოორდინირებული პოლიტიკა – გზამკვლევი პარლამენტთათვის 40

დამატებითი საკითხავი და გამოყენებული ლიტერატურა **42**

დანართები **44**

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტები

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა არის ადამიანის უფლებათა დარღვევა, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშემშლელი გარემოება და სერიოზული გამოწვევა დემოკრატიის, მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ეუთოს წევრ სახელმწიფოებში. საჭიროა ძალადობის სხვადასხვა ფორმებთან ბრძოლა და მათი აღმოფხვრა პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროდან.

ეუთოს მინისტრთა საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ აღიარებს, რომ "ქალები, რომლებიც საჯარო პროფესიულ საქმიანობას ეწევიან, ...შეიძლება დაექვემდებარონ გარკვეული ფორმის ძალადობას ან შევიწროებას, მუქარასა და ჩაგვრას, მათ საქმიანობასთან დაკავშირებით." ამავე დროს, გადაწყვეტილება „მოუწოდებს ყველა შესაბამის აქტორს, მათ შორის პოლიტიკური პროცესის მონაწილეებს, ხელი შეუწყონ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას, მათ შორის, იმ ქალების მიმართ, რომელთა პროფესიული საქმიანობა საჯაროა და/ან საზოგადოების ინტერესებს ემსახურება; ამისათვის საჭიროა მოცემული საკითხის წამოწევა საზოგადოებრივ დისკუსიებში, ცნობიერების ამაღლების ინიციატივების შემუშავება და სხვა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, ახალგაზრდა ქალებზე ამგვარი ძალადობის მსუსხავი ეფექტის გათვალისწინებით."

ეუთოს რეგიონში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის წინამდებარე ინსტრუმენტები მიზნად ისახავს ეუთოს წევრი სახელმწიფოების ცნობიერების ამაღლებასა და ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერებას პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების შესამუშავებლად. იგი ხუთ დამოუკიდებელ ინსტრუმენტს მოიცავს:

ODIHR-ის ინსტრუმენტები ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად

- **ინსტრუმენტი 1 – შესავალი** განმარტავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას და აღწერს ეფექტური პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, დამნაშავეთა სამართლებრივი დევნისა და პოლიტიკის კოორდინაციის საკითხებს.

- **ინსტრუმენტი 2 – პარლამენტებისთვის** წარმოადგენს მონაცემებსა და კარგი პრაქტიკების ნიმუშებს პარლამენტებისთვის სახელმძღვანელოდ და

პარლამენტში და პარლამენტს მიღმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების შესამუშავებლად.

- **ინსტრუმენტი 3 – პოლიტიკური პარტიებისთვის** ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს, გადადგან ნაბიჯები თავიანთ სტრუქტურებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

- **ინსტრუმენტი 4 – სამოქალაქო საზოგადოებისთვის** მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა მოძრაობების როლს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

- **ინსტრუმენტი 5 – პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის** წარმოადგენს გზამკვლევს ამ სახის ძალადობის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზარალებული ქალებისთვის იმის შესახებ, თუ როგორ მიიღონ დახმარება და დაცვის საშუალებები.

შესავალი

ქალთა მიმართ სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა საყოველთაო და სისტემური პრობლემებია პარლამენტების ცხოვრებაში. ქალი პოლიტიკოსები მუდმივად ხდებიან ძალადობის და ძალადობით დამუქრების ობიექტი თავიანთი წარმომადგენლობითი მოვალეობების შესრულებისას. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა დაუშვებელია. ეს არის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა, მათ შორის, იმ ვალდებულებისა, რომ ქალებს შეეძლოთ პოლიტიკურ პროცესებში სრულფასოვნად, თავისუფლად და უსაფრთხოდ მონაწილეობა.

დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევითი ორგანოები, როგორიცაა პარლამენტი, მაგალითის მიმცემი უნდა იყონ და ისეთ სამუშაო ადგილს წარმოადგენდნენ, სადაც ქალებსა და კაცებს თანასწორად და სრულიად უსაფრთხოდ შეუძლიათ წარმომადგენლობითი მოვალეობების შესრულება. პარლამენტი თავად უნდა იყოს თანამედროვე და გენდერულად მგრძნობიარე დემოკრატიის ნიმუში, სადაც სექსიზმისა და გენდერული ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა იმოქმედებს.

წინამდებარე ინსტრუმენტი, რომელიც ეხება პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას ევროპის წევრ სახელმწიფოებში (VAWiP), ორიენტირებულია კონკრეტულად პარლამენტში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე და იმ როლზე, რომელიც პარლამენტმა უნდა შეასრულოს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.[1] მისი მიზანია, პარლამენტებს მიაწოდოს მონაცემები და კარგი პრაქტიკის მაგალითები და დაეხმაროს მათ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებაში, როგორც პარლამენტში, ისე მის გარეთ.[2]

წინამდებარე ინსტრუმენტი ორ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში წარმოდგენილია მონაცემები და ინფორმაცია პარლამენტებში ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბის შესახებ. მეორე ნაწილი კი ევროპის რეგიონში მოქმედი

1 იხილეთ აგრეთვე „ძალადობა ქალი ჟურნალისტების და პოლიტიკოსების მიმართ: მზარდი კრიზისი", ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური წარმომადგენელი გენდერის საკითხებზე, წლიური ანგარიში 2021, <https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/4247-2021-report-by-the-special-representative-on-gender-issues-violence-against-women-journalists-and-politicians-a-growing-crisis/file>.

2 გარდა ამ ინსტრუმენტისა, მაგალითისთვის იხილეთ აგრეთვე „სახელმძღვანელო წესები პარლამენტში ქალთა მიმართ სექსიზმის, შევიწროებისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად", საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU), 2019, <https://www.ipu.org/resources/publications/reference/2019-11/guidelines-elimination-sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliament>; „შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის სახელმძღვანელო: ინსტრუმენტი თანამეგობრობის პარლამენტებისთვის", თანამეგობრობის საპარლამენტო ასოციაცია, 2020, <https://www.cpahq.org/media/1gyl5xhi/cwp-anti_harassment-guidelines.pdf>.

ძირითადი ზომებისა და ღონისძიებების მიმოხილვასა და კარგ პრაქტიკებს ეთმობა. თავის მხრივ, მეორე ნაწილი იყოფა ქვეთავებად, რომლებშიც განხილულია პრევენციის, დაცვის, სამართლებრივი დევნისა და პოლიტიკის კოორდინაციის საკითხები, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისთვის. თითოეული ასეთი ქვეთავის ბოლოს მოცემულია შემოთავაზებული ზომების შეჯამება და პრაქტიკული რჩევები პარლამენტებისთვის. ინსტრუმენტში შედის ასევე ორი დანართი, რომლებშიც, ერთი მხრივ, წარმოდგენილია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ საპარლამენტო პოლიტიკის მაგალითები, ხოლო, მეორე მხრივ, მოცემულია ევროპის რეგიონში ამ თემის ირგვლივ ამჟამად მოქმედი საპარლამენტო პოლიტიკისა და კოდექსების ჩამონათვალი.

პარლამენტებში ქალთა მიმართ ძალადობის მხრივ არსებული მდგომარეობა და მონაცემები

პოლიტიკაში, და კონრეტულად პარლამენტში, ქალთა მიმართ ძალადობის ამსახველი მონაცემები და სტატისტიკა უაღრესად შემაშფოთებელია. პარლამენტში ქალთ მიმართ სექსიზმის, შევიწროებისა და ძალადობის ფაქტებს ადგილი აქვს მთელ მსოფლიოში, მათ შორის ეუთოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტებში. ქალ პოლიტიკოსებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ყველა ისეთ დემოკრატიაში, რომელიც ემყარება ადამიანის უფლებების, თანასწორი შესაძლებლობების, არადისკრიმინაციისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს, ხელი ეშლებათ თავიანთი წარმომადგენლობითი მოვალეობების განხორციელებაში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) და საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ 2018 წელს ჩატარებულ კვლევაში, სახელწოდებით „ევროპის პარლამენტებში ქალთა მიმართ სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა", აღნიშნულია, რომ გამოკითხული ქალი პარლამენტარების 85,2%-ს მუშაობის პერიოდში განუცდია *ფსიქოლოგიური ძალადობა*, 46,9%-ს დამუქრებიან მოკვლით, გაუპატიურებით ან ცემით, 58,2% გამხდარა ონლაინ სექსისტური თავდასხმის ობიექტი სოციალურ ქსელებში, 67,9%-ის მიმართ გამოუთქვამთ ფიზიკურ გარეგნობასთან დაკავშირებული ან გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული კომენტარები, 24,7%-ს განუცდია *სექსუალური ძალადობა*, ხოლო 14,8% გამხდარა *ფიზიკური ძალადობის* ობიექტი.[3] კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ფსიქოლოგიური და სექსუალური შევიწროება უფრო ხშირი იყო 40 წლამდე ასაკის ქალი პარლამენტარების მიმართ და გენდერული უთანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი ქალი დეპუტატები ხშირად ხდებოდნენ თავდასხმის ობიექტი.[4] ასევე, ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ პარლამენტში არ არსებობდა რაიმე სამსახური ან მექანიზმი, რომლისთვისაც შეიძლება მიემართათ შევიწროების ან ძალადობის შემთხვევაში.[5]

3 „ევროპის პარლამენტებში ქალთა მიმართ სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა", საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU) და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), 2018, <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2018-10/sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliaments-in-europe>.

4 *Ibid.*

5 *Ibid.*

პროცენტული მაჩვენებელი ქალებისა, რომლებსაც ამ ტიპის ძალადობა განუცდიათ პარლამენტში



მაგალითები დაღმავალი სიხშირის მიხედვით[6]

- დამამცირებელი სექსუალური ან სექსისტური შენიშვნები
- უკიდურესად დამამცირებელი ან სექსუალური ქვეტექსტის შემცველი სურათები ან კომენტარები, რომლებიც სოციალურ ქცელში გავრცელდა
- სიკვდილის, გაუპატიურების, ცემის ან გატაცების მუქარა
- უაღრესად დამამცირებელი ან სექსუალური ქვეტექსტის მქონე სურათები ან კომენტარები, რომლებიც ბეჭდურ მედიასა და ტელევიზიაში გავრცელდა
- ფსიქოლოგიური შევიწროება, დაშინება და თვალთვალი
- სექსუალური შევიწროება
- სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა
- გარტყმა, ხელის კვრა, დარტყმა ან რამის სროლა მისი მისამართით
- იარაღის გამოყენების მუქარა
- ქონების (მანქანის, სახლის, ოფისის, ა.შ.) დაზიანება ან განადგურება
- სისტემატური ხელშეშლა საპარლამენტო რესურსებზე წვდომაში

Source: IPU and PACE, 2018, "Sexism, harassment and violence against women in parliaments in Europe"

6 *Ibid.*

2018 წლის კვლევამ გამოკვეთა ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგი გამოვლინებები: დამამცირებელი სექსუალური ან სექსისტური შენიშვნები (67,9%), სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული სურათები ან კომენტარები, რომლებიც უკიდურესად დამამცირებელი იყო ან შეიცავდა სექსუალურ ქვეტექსტს (58.2%),. მკვლელობის, გაუპატიურების, ცემის ან გატაცების მუქარა (46,9%), ბეჭდურ მედიასა და ტელევიზიაში გავრცელებული სურათები ან კომენტარები, რომლებიც უაღრესად დამამცირებელი იყო ან შეიცავდა სექსუალურ ქვეტექსტს (39,5%), ფსიქოლოგიური შევიწროება, დაშინება და თვალთვალი (27,2%).[7] მსგავსი შედეგები აჩვენა სხვა ბოლოდროინდელმა კვლევებმაც ქალი პარლამენტარების მიმართ ონლაინ შევიწროების შესახებ. ფინეთის ქალ მინისტრებთან დაკავშირებით 2020 წელს ჩატარებული კვლევა ადგენს, რომ Twitter-ზე ხშირია ძალადობის ენა და ქალი მინისტრები ონლაინ სივრცეში არაპროპორციულად დიდი რაოდენობის გენდერულ, სექსისტურ, ქალთმოძულე კომენტარებს იღებენ, რაც მიზნად ისახავს მინისტრის თანამდებობის მქონე ქალების კრიტიკასა და მათ დელეგიტიმაციას.[8] ანალოგიურად, გაერთიანებული სამეფოს ქალი დეპუტატები მეტად არიან ისეთი ტვიტების ადრესატები, რომლებიც მიმართულია მათი, როგორც ქალების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მათი პოლიტური საქმიანობის ეჭვქვეშ დაყენებას, ვიდრე – მამაკაცი დეპუტატები.[9] ამ ონლაინ ტვიტების ნაწილი ქალთმოძულე შინაარსს ატარებს, ასევე ქალი პარლამენტარების დემონიზაციასა და განივთებას ემსახურება.[10]

სექსუალური ძალადობის კუთხით გამოვლინდა სექსუალური შევიწროება (24,7%) და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა (6,2%). *ფიზიკური ძალადობის* გამოხატულებები მოიცავდა გარტყმას, ხელის კვრას, დარტყმას ან მისი მისამართით რამის სროლას, აგრეთვე იარაღის გამოყენების მუქარას. *ეკონომიკური ძალადობა* (13,5%) გამოხატულება იყო თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ქონების (მანქანა, სახლი, ოფისი, ა.შ.) დაზიანება ან განადგურება, აგრეთვე მუდმივად დაბრკოლებების შექმნა იმ საპარლამენტო რესურსებზე წვდომისათვის, რომლებით სარგებლობის უფლებაც პირს ჰქონდა.[11]

2018 წლის კვლევამ ასევე აჩვენა, რომ 40 წლამდე ასაკის ქალი პარლამენტარები უფრო ხშირად გამხდარან ფსიქოლოგიური ძალადობის ობიექტი. მაგალითად, თუ სექსისტური ან სექსუალური ხასიათის შენიშვნებს ადგილი ჰქონია ქალი პარლამენტარების 67,9%-ის მიმართ, ეს მაჩვენებელი 77,3% იყო 40 წლამდე ასაკის

7 *Ibid*.

8 კრისტინა ვან სანტი, როლფ ფრედჰეიმი და გუნდარს ბერგმანის-კორაცი, „ძალაუფლების ბოროტად გამოყენება: ფინეთის მთვარობის მინისტრების კოორდინირებული შევიწროება ონლაინ სივრცეში", ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების სრულყოფის ცენტრი, რიგა, თებერვალი 2021, <https://stratcomcoe.org/cuploads/pfiles/abuse_of_power_online_harassment_of_fin_ministers_16-03-2021.pdf>.

9 როზალინდ საუზერნი და ემილი ჰარმერი, „ტვიტერი, არაცივილურობა და 'ყოველდღიური' გენდერული დისკრიმინაცია: გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წევრებისთვის გაგზავნილი ტვიტების ანალიზი", *Social Science Computer Review*, 39.2, 2019, გვ. 259-275.

10 *Ibid.*

11 *Op. cit.* სქ. 3.

ქალი პარლამენტარების შემთხვევაში. თუ ქალი დეპუტატების 58,2% ამბობდა, რომ სოციალურ ქსელებში უნახავს სურათები ან კომენტარები მასზე, რომლებიც უკიდურესად დამამცირებელი ან სექსუალური ქვეტექსტის შემცველი იყო, ეს მაჩვენებელი 76,2%-ს უტოლდებოდა 40 წლამდე ასაკის ქალი დეპუტატების შემთხვევაში. ასევე, თუ ქალი პარლამენტარების 27,2% განუცდია ფსიქოლოგიური შევიწროება, დაშინება ან თვალთვალი, ეს მაჩვენებელი 45,5% იყო 40 წლამდე ასაკის ქალი პარლამენტარების შემთხვევაში.[12]

პროცენტული მაჩვენებელი 40 წლამდე ასაკის ქალებისა, რომლებსაც ამ ტიპის ძალადობა განუცდიათ



Source: IPU and PACE, 2018, "Sexism, harassment and violence against women in parliaments in Europe"

12 *Ibid.*

კვლევები ასევე აჩვენებს, რომ თეთრკანიან ქალებთან შედარებით, შავკანიანი და აზიური წარმოშობის ქალი პოლიტიკოსები, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალი პოლიტიკოსები, ძალადობის უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. Amnesty-ს მიერ 2018 წელს გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში ქალი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების შესახებ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თეთრკანიან ქალებთან შედარებით, შავკანიანი ქალები 84%-ით, ხოლო შავკანიანი და უმცირესობათა წარმომადგენელი ქალები 34%-ით უფრო ხშირად მოიხსენიებოდნენ ძალადობრივ ან პრობლემურ ტვიტებში.[13] გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, შავკანიანი, აზიელი ან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი პარლამენტარობის კანდიდატთა 63% განიცდის შევიწროებას; ასევე, თეთრკანიან ქალებთან შედარებით, ისინი უფრო ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი.[14]

IPU-PACE-ის 2018 წლის კვლევა ასევე მიუთითებს, რომ სექსუალური და ფსიქოლოგიური შევიწროების ან დაშინების მნიშვნელოვანი სამიზნე პარლამენტის ქალი თანამშრომლები ხდებიან.[15]

მოძალადეთა წრე მრავალფეროვანია. მათ შორის შეიძლება იყვნენ კოლეგები იმავე ინსტუტიდან (მაგ., იმავე საპარლამენტო კომიტეტიდან), იმავე პოლიტიკური პარტიის ან ფრაქციის წევრები, არჩევითი ორგანოს საჯარო მოხელეები და თანამშრომლები (მაგ., საჯარო მოხელეები, რომლებიც საპარლამენტო კომიტეტებში მუშაობენ) და ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც, ონლაინ თუ რეალურ ცხოვრებაში, ქალ პოლიტიკოსებთან ურთიერთობენ. ძალადობრივი ქცევა შეიძლება მოდიოდეს ოჯახის წევრების მხრიდანაც:

> „თავიდან ჩემი ქმარი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ დეპუტატობის კანდიდატად წარმედგინა თავი. მაშინ ჯერ კიდევ რუსეთში მუშაობდა და ქმრის ოჯახი, მათ შორის, მისი მშობლები დამეხმარნენ, რომ ამეხსნა. ბოლოს დათანხმდა. მაგრამ თავიდან მაინც ძალიან სკეპტიკურად უყურებდა საკანონმდებლო ორგანოში ჩემს საქმიანობას. ამან ფსიქოლოგიურად დამანგრია. მაგალითად, უამრავ შეკითხვას მისვამდა, თუ ვინმე დამირეკავდა ან სამუშაო შეხვედრაზე წავიდოდი, არ მიშვებდა ბიშკეკში პროფესიული განვითარების

13 „ტროლების პატრულის მიგნებები. ქრაუდსორსინგის, მონაცემთა მეცნიერებისა და მანქანური სწავლების გამოყენება ტვიტერში ქალთა მიმართ ძალადობის და შევიწროების გასაზომად", Amnesty, 2018, ნანახია 2022 წლის 14 ოქტომბერს, <https://decoders.amnesty.org/projects/troll-patrol/findings>.

14 სოფია კოლინიონი, როუზი კემპბელი და ვოლფგანგ რუდიგი, „საპარლამენტო კანდიდატების გენდერული მოტივით შევიწროება გაერთიანებულ სამეფოში", *The Political Quarterly*, 93.1, 2022., გვ. 32-38, <https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/1467-923X.13070>.

15 *Op. cit*, სქ. 3.

> სემინარებზე, ჩემი სამსახურებრივი მივლინებების წინააღმდეგი იყო. მაგრამ ორი ზრდასრული შვილი მყავს, რომლებიც დამეხმარნენ, ქმარი დამერწმუნებინა ანუ ამეხსნა სიტუაცია. ახლა ყველაფერი კარგადაა. მხარს მიჭერს და აღარ მზღუდავს."[16]
>
> გასაუბრება ქალ პარლამენტართან ყირგიზეთში

კვლევები აჩვენებს, რომ მნიშვნელობა აქვს თანამდებობასაც: უმაღლესი ხელმძღვანელი თანამდებობის მქონე ქალი პოლიტიკოსები უფრო მეტად ხდებიან ძალადობის ობიექტი, სხვა პოლიტიკურ თანამდებობებზე მყოფ ქალებთან შედარებით.[17] ამავე დროს, პოლიტიკაში მყოფი ქალები ძალადობას განიცდიან არა მარტო გენდერის ნიშნით, არამედ ისეთი ფაქტორების გამოც, როგორიცაა მათ შესაძლებლობებთან დაკავშირებული წარმოდგენები, სექსუალობა, რასობრივი და ეთნიკური კუთვნილება, რელიგია, ეროვნული წარმომავლობა, ენობრივი კუთვნილება, ასაკი და გეოგრაფიული არეალი.[18] პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე არსებული კვლევების ინტერსექტორული ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილე ქალები ძალადობის ობიექტი ხდებიან არა მხოლოდ გენდერული საფუძვლის გამო, არამედ ისეთი საფუძვლებითა, რომლებიც დისკრიმინაციის რამდენიმე მოტივს აერთიანებს. ამგვარად, ქალი პოლიტიკოსები პოლიტიკაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდნენ იმის გამო, რომ არიან ქალები და ამავდროულად ახალგაზრდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი და სხვ.

IPU-ს და PACE-ის მიერ ევროპაში 2018 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში ქალებმა გააკრიტიკეს თავიანთ პარლამენტებში ისეთი სამსახურის ან მექანიზმის არარსებობა, რომლისთვისაც შეიძლება მიემართათ შევიწროების ან ძალადობის შემთხვევაში. 2016 წელს მსოფლიოს ყველა რეგიონის 42 პარლამენტიდან (53 პალატა) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IPU-მ დაადგინა, რომ მონაწილე პარლამენტების მხოლოდ 21%-ს ჰქონდა შემუშავებული პოლიტიკა

16 ციტატა კვლევიდან: ზ. კოჩორბაევა, ნ. პრიგოდა, ბ. ისლანბეკოვა, მ. ტიულეგენოვი, „ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ყირგიზეთის რესპუბლიკაში: კვლევის შედეგები", სოციალური ტექნოლოგიების სააგენტო, დაფინანსებული ეუთო/ოდირის მიერ, 2 ივნისი, 2022, <https://www.osce.org/programme-office-in-bishkek/519390>.

17 სანდრა ჰოკანსონი, „ქალები უფრო მაღალ ფასს იხდიან ძალაუფლებისთვის? გენდერული მიკერძოება შვედეთის პოლიტიკურ მეცნიერებაში", *Journal of Politics*, 83.2, აპრილი, 2021, <https://www.journals.uchicago.edu/doi/abs/10.1086/709838>.

18 რებეკა კუპერბერგი, „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ინტერსექტორული ძალადობა", *Politics & Gender*, 14(4), 13 ნოემბერი, 2018, გვ. 685-690, <https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/857778003CD6AB6448FC30DBC1F34416/S1743923X18000612a.pdf/intersectional-violence-against-women-in-politics.pdf>.

პარლამენტარების სექსუალურიშევიწროების წინააღმდეგ, ხოლო 48%-ს – ამგვარი პოლიტიკა პარლამენტის თანამშრომლებთან დაკავშირებით.[19] პარლამენტების მხოლოდ 28%-ში მოქმედებდა საჩივრების მექანიზმი პარლამენტარებისთვის, ხოლო 53%-ში – პარლამენტის თანამშრომლებისთვის.[20]

რომ შევაჯამოთ, არსებული მონაცემები და სტატისტიკა პოლიტაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ შემაშფოთებელია. ახალგაზრდა, 40 წლამდე ასაკის ქალი პარლამენტარები განსაკუთრებით ხშირად ხდებიან ძალადობის ობიექტი. ამ ფონზე, პარლამენტების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს მიღებული ზომები ძალადობის წინააღმდეგ (იხ. დანართი 2). პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა საფრთხეს უქმნის ქალი პარლამენტარების, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული სხვა ქალების ან პოლიტიკოსობის მსურველი ქალების უფლებებს, თავისუფლებებს, ჯანმრთელობას, ცხოვრების ხარისხს და ზოგჯერ სიცოცხლესაც კი. ეს არის ადამიანის უფლებათა დარღვევა და საფრთხე დემოკრატიისა და საზოგადოების განვითარებისათვის.

19 „სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა ქალი პარლამენტარების მიმართ", IPU, 2016, <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2016-10/sexism-harassment-and-violence-against-women-parliamentarians>.

20 *Ibid.*

პარლამენტებში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ზომები და კარგი პრაქტიკები

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ სხვადასხვა ზომების გამოყენება არის შესაძლებელი. მათ შორისაა:

- სამართლებრივი რეფორმების ხელშეწყობა, მიღება და იმპლემენტაცია და ძლიერი საკანონმდებლო ბაზის შექმნა;
- სავარაუდო მოძალადეების მიმართ სამართალწარმოების უზრუნველყოფა;
- ოფიციალური გამოძიებების ჩატარება;
- ქცევის კოდექსების შემოღება;
- ანგარიშგებისა და ალტერნატიული ანგარიშგების მექანიზმების შექმნა;
- შემაკავებელი სანქციების გამოყენება;
- ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, მანიფესტების, ღია წერილებისა და ვირტუალური კამპანიების მეშვეობით;
- შევიწროებასთან ბრძოლის შესახებ ტრენინგებისა და თავდაცვის სასწავლო კურსების ჩატარება;
- უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვა, მათ შორის, უსაფრთხოების პატრული, ონლაინ უსაფრთხოება და უსაფრთხო სივრცეები;
- მხარდაჭერის გაწევა ან მხარდაჭერის სამსახურში გადამისამართება, ზიანის ანაზღაურება და თვითდახმარება;
- ონლაინ სივრცეში დაბლოკვა ან წაშლა;
- მოსმენის სხდომების ჩატარება;
- შემხვედრი განცხადების გაკეთება და სოლიდარობის გამოხატვა;
- საგანგებო გრანტების გაცემა ან სხვა ფინანსური ღონისძიებები;
- ენობრივი ადაპტაციების, ენობრივი ცნობარების, ამპლიფიკაციებისა და სემიოტიკური ინვერსიების გაკეთება.[21]

21 მონა ლენა კრუკი, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა (ნიუ იორკი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020)

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფორმაა და საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული გენდერული უთანასწორობიდან მომდინარეობს. ამდენად, ამ პრობლემასთან გამკლავებისას აუცილებელია უფრო ფართო კონტექსტის გათვალისწინება. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად სხვადასხვა სამართლებრივი ჩარჩოები, კანონები, პოლიტიკა თუ სხვა ღონისძიებები გამოიყენება, მაგრამ არ არსებობს რაიმე ერთი გამოსავალი, რომელიც ამ პრობლემას აღმოფხვრიდა. საჭიროა სხვადასხვა დონეზე მთელი რიგი ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებშიც გათვალისიწინებული იქნება ძალადობის ის ტიპები, რასაც პოლიტიკაში ჩართული ქალები განიცდიან და ასევე ის განსხვავებული კონტექსტები და სიტუაციები, სადაც ამ ძალადობას აქვს ადგილი. ქვემოთ მოცემული მაგალითები კარგი საპარლამენტო პრაქტიკების არასრული ჩამონათვალია.

ამ ქვეთავის მომდევნო ნაწილში აღწერილია ღონისძიებები, რომლებიც მიღებული იქნა ეუთოს სხვადასხვა წევრი სახლმწიფოს მიერ პოლიტიკაში, და კონკრეტულად პარლამენტში, ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად. ღონისძიებები დალაგებულია იმავე კატეგორიების მიხედვით, რომლებსაც იყენებს ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) და **ოთხ მიმართულებას მოიცავს**:



წინამდებარე ინსტრუმენტი ეფუძნება აგრეთვე ამ თემაზე საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ მსოფლიოს სხვადასხვა პარლამენტებთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგებს.[22]

1 ***პრევენცია*** გულისხმობს ცნობიერების ამაღლების ინიციატივების განხორციელებას, როგორიცაა საინფორმაციო კამპანიები, ძალადობის წინააღმდეგ და ქალებისა და კაცების გენდერული თანასწორობის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებები, გენდერულ სტერეოტიპებთან დაპირისპირება, ქალების გაძლიერების ხელშეწყობა, პროგრამები დამნაშავეებისთვის და პროფესიონალთა ტრენინგები.

22 იხილეთ, მაგ., „ქალთა მიმართ სექსიზმი, შევიწროება და ძალადობა“, *op. cit.*, სქ. 3; IPU-ს 2019 წლის სახელმძღვანელო, *op. cit.*, სქ. 2.

2 **დაცვა** გულისხმობს უსაფრთხოებისა და მხარდაჭერის ჩარჩოს შექმნას და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინფორმაცია უფლებების შესახებ, მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, დაცვისა და უსაფრთხოების სხვა ზომები.

3 ***სამართლებრივი დევნა*** გულისხმობს გამოძიების ჩატარებას დამოუკიდებელი ჯგუფების მიერ, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობასა და სასამართლო წარმოებას, აგრეთვე, დამნაშავეთა მიმართ შემაკავებელი სანქციების გამოყენებას და მსხვერპლთა უფლებების დაცვას (მათ შორისაა მსხვერპლის უფლება ინფორმაციისა და მხარდაჭერის მიღებაზე, ასევე, მსხვერპლის დაცვა გამოძიებისა და სამართალწარმოების მიმდინარეობის პერიოდში).

4 ***კოორდინირებული პოლიტიკა*** გულისხმობს ისეთ ორგანიზაციულ ზომებს, როგორიცაა კვლევა და მონაცემების შეგროვება, ქმედებების კოორდინაცია და შესრულების მონიტორინგი, მხარდაჭერა და სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული პარტნიორების დაფინანსება.

პრევენცია

პრევენციას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად და ხანგრძლივ, სისტემატურ და მტკიცე ძალისხმევას მოითხოვს. მისი მიზანია:

1) ქცევითი და სოციალური მოდელების ცვლილება და

2) ზოგადად, ადამიანის უფლებების და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, უფრო კონკრეტულად კი – პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, ინფორმირებულობის გაზრდა.

ცნობიერების ამაღლების კამპანიები ძალიან მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად. მათი მიზანია არა მხოლოდ ინფორმირებულობის გაზრდა იმაზე, თუ რა არის და რამდენად დაუშვებელია ძალადობა, არამედ ძალადობის წამახალისებელი განწყობებისა და ქცევების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. სისტემური ძალადობის არსებობის გააზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციური ცვლილების უფრო ფართო პროცესისთვის. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე (რომელიც წარმომადგენლობით ორგანოებში ტაბუდადებულ თემაა) ღიად საუბარი საშუალებას მოგვცემს, ამ პრობლემას სახელი დავარქვათ, მოვუძებნოთ დეფინიცია, რომელსაც ყველა გაიზიარებს და ვაჩვენოთ, რომ პარლამენტი არ არის იმუნური გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ. ამავე დროს, ეს იქნება ნიშანი მსხვერპლთათვის, რომ მათი განცხადებები სერიოზულად იქნება აღქმული და რომ ბრალი ეკისრებათ მხოლოდ და მხოლოდ მოძალადეებს.



ამგვარად, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად, არსებითად მნიშვნელოვანია, დაირღვეს დუმილი ამ საკითხზე. პრობლემის იდენტიფიცირება შესაძლო გამოსავლების მოძიებისა და განხილვის პერსპექტივას ქმნის. ამასთან, აუცილებელია, რომ კამპანიები მოიცავდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს და არ განამტკიცებდეს, მაგალითად, სტერეოტიპებს ეთნიკური, შეზღუდული შესაძლებლობის ან კლასობრივი ნიშნით.

ეუთოს რეგიონის ზოგ პარლამენტში მოქმედებს **სწავლებისა და გადამზადების პროგრამები**. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროგრამები არა მარტო პარლამენტში შევიწროებისა და არასათანადო ქცევის საკითხებს, არამედ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას მოიცავდეს. პროგრამა უნდა იყოს პრაქტიკული, რეგულარული და სავალდებულო, როგორც პარლამენტის წევრებისთვის, ისე პარლამენტის ყველა სხვა თანამშრომლისთვის და ხელს უნდა უწყობდეს გენდერულ თანასწორობას, ქალთა უფლებების დაცვას და პარლამენტის ძირითადი ფუნქციების (კანონშემოქმედება, ზედამხედველობა და წარმომადგენლობა) შესრულებას.

კანადაში სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლის პოლიტიკის შესახებ ტრენინგები უტარდებათ პარლამენტის წევრებსა და თანამშრომლებს. 2016 წელს შემუშავდა ონლაინ კურსი სექსუალური შევიწროების თემაზე. 2018 წელს კი იგივე კურსი დაიწყეს პირისპირ ფორმატში, ორივე ოფიციალურ ენაზე, პარლამენტის ყველა წევრისთვის, მინისტრთა კაბინეტისა და პარტიის ლიდერებისთვის.[23]

23 იხილეთ, მაგ.,: კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21, გვ. 173-174.

ევროპის კავშირში ევროპარლამენტი აორგანიზებს სპეციალურ კურსებს, რომლის მიზანია არასათანადო ქცევისა და შევიწროების პრევენცია და შრომის ადგილზე წესიერი, პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. შევიწროების პრევენციის შესახებ სწავლება უტარდება ყველა თანამშრომელს, რათა შეეძლოთ ფსიქოლოგიური და სექსუალური შევიწროების ამოცნობა, პრევენცია და მასთან ბრძოლა. იმავე სწავლებას გადიან მენეჯერებიც, რომ შეძლონ თავიანთ გუნდებში ფსიქოლოგიურ და სექსუალურ შევიწროებასთან ბრძოლა და პრევენცია. შემუშავების პროცესშია პარლამენტარებისთვის სპეციალური კურსები თანამშრომელთა აყვანისა და მართვის შესახებ. ეს კურსები პრევენციაზეა ორინეტირებული და მიზნად ისახავს პარლამენტარებისთვის მენეჯერული უნარების განვითარებას თანაშემწეებთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.[24]

ფინეთსა და შვედეთში ფსიქოლოგიური და სექსუალური შევიწროების საკითხები შეტანილია ტრენინგ კურსში, რომელსაც პარლამენტის თანამშრომლები გადიან სამსახურში მიღებისას.[25]

ზოგადი ინფორმირებულობისა და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც პრობლემის, აღიარების გარდა, ძალადობის ეფექტური პრევენციისა და აღმოფხვრისთვის აუცილებელია ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა. საჭიროა ისეთი კანონებისა და პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მკაფიო გზავნილს გაუგზავნის ყველას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა დაუშვებელია, როგორც პოლიტიკაში, ისე საზოგადოებაში. პარლამენტს შეუძლია, მიიღოს **კანონები, რომლებიც კრძალავს და დასჯადს ხდის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას**. ამავე დროს, სტრუქტურული დისკრიმინაციის შემცირების, გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და, უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, რომ კანონმდებლობა ყველა თემაზე ითვალისწინებდეს გენდერულ ასპექტებს. მიმართვის შემთხვევაში, ODIHR ეხმარება ევროპის წევრ სახელმწიფოებს კანონმდებლობის შეფასებაში, რათა იგი შეიცავდეს სათანადო სამართლებრივ გარანტიებს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, ევროპის ვალდებულებებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად.[26]

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა, ცალკე აღებული, კრიმინალიზებული არ არის ევროპის არც ერთ წევრ სახელმწიფოში. თუმცა ევროპის რეგიონის 35 წევრ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენცია,

24 „სათანადო ქცევის წესები", ევროპარლამენტი, ბოლოს ნანახია 2022 წლის 14 ოქტომბერს, <https://www.europarl.europa.eu/at-your-service/en/transparency/appropriate-behaviour>.

25 იხილეთ, მაგ., ერიკსონი და ფრეიდენვალი (2022 იბეჭდება).

26 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „საკანონმდებლო დახმარების მიღება ODIHR-გან", OSCE/ODIHR, 20 დეკემბერი, 2018, <https://www.osce.org/odihr/407447>.

ხოლო 55 წევრ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW). ამგვარად, ამ სახელმწიფოებს აღებული აქვთ ვალდებულება, რომ ქალთა მიმართ, საჯარო თუ კერძო სფეროში, ინდივიდებისა თუ სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ყველა ფორმის ძალადობის კრიმინალიზაცია მოახდინონ.[27] ამავე დროს, ეუთოს მინისტრთა საბჭოს 15/05 გადაწყვეტილებით, ეუთოს ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, „მიიღოს და შეასრულოს კანონმდებლობა, რომელიც დასჯადს ხდის გენდერული ნიშნით ძალადობას და უზრუნველყოფს ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას".[28] ამჟამად, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ კანონმდებლობის მაგალითები არსებობს მხოლოდ ლათინურ ამერიკასა და ტუნისში.[29]

ბოლივია პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც მიიღო კანონი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. კერძოდ, ეს არის კანონი №243 „ქალთა მიმართ შევიწროებისა და პოლიტიკური ძალადობის შესახებ".[30] **კანონის შემუშავებისა და მიღების საფუძვლად იქცა ის გარემოება, რომ საარჩევნო კანონმდებლობა და კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე მიჩნეულ იქნა არასაკმარისად ქალი პოლიტიკოსების დასაცავად, მაგალითად, ეკონომიკური ძალადობისგან, როგორიცაა ხელფასის არგადახდა.**[31] **კანონი №243 განსაზღვრავს:**

- „პოლიტიკურ ძალადობას", როგორც „ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ქმედებას, ქცევას და/ან აგრესიას";

- „პოლიტიკურ შევიწროებას", როგორც „ზეწოლას, დევნას, შევიწროებას ან მუქარას, რომელსაც ახორციელებს პირი ან პირთა ჯგუფი, პირდაპირ ან მესამე მხარის მეშვეობით, ქალი კანდიდატის, არჩეული ან დანიშნული თანამდებობის პირის, ან საჯარო სამსახურში მყოფი პირის მიმართ, ან ქალის ოჯახის წევრების მიმართ, მისი სამსახურებრივი ფუნქციების შეკვეცის,

27 2022 წლის ივლისის მდგომარეობა. იხილეთ სტამბოლის კონვენციის ხელმომწერთა და რატიფიკაციათა ჩამონათვალი: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=210>. იხილეთ CEDAW-ს რატიფიკაციების ჩამონათვალი: <https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/TreatyBodyExternal/Treaty.aspx?Treaty=CEDAW&Lang=en>.

28 ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, MC.DEC/15/05, ლუბლიანა, 6 დეკემბერი, 2005, <https://www.osce.org/files/f/documents/c/8/17451.pdf>.

29 „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია. სახელმძღვანელო", გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2021, <https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2021/07/guidance-note-preventing-violence-against-women-in-politics>.

30 ბოლივია, 2012, კანონი №243 ქალთა მიმართ შევიწროებისა და პოლიტიკური ძალადობის შესახებ, მუხლები 7 და 8, <https://www.comunicacion.gob.bo/sites/default/files/docs/Ley%20N%C2%BA243%20Contra%20el%20Acoso%20y%20Violencia%20Politica%20hacia%20las%20Mujeres.pdf>

31 ჯულიანა რესტრეპო სანინი, „სამართალი და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა", *Politics & Gender*, 14.4, 13 დეკემბერი, 2018, გვ. 676 – 680, https://doi.org/10.1017/S1743923X18000594

შეჩერების, ხელშეშლის ან შეზღუდვის მიზნით."[32]

ინტერამერიკული მოდელური კანონი პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ[33] 2017 წელს შემუშავდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) და ბელემ დო პარას კონვენციის ზედამხედველობის მექანიზმის (MESECVI) მუშაობის შედეგად და მისი მიზანი იყო პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმების განსაზღვრა. გარდა ამისა, კანონი განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს, რომლებიც შეეხება პრევენციას, მსხვერპლთა მხარდაჭერას, დასჯას, ზიანის ანაზღაურებას და მოიცავს სასამართლო ორგანოებს, საარჩევნო ორგანოებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ქალთა ეროვნულ მექანიზმებს (იხილეთ ინსტრუმენტი 1 – შესავალი).

ამავე დროს, აუცილებელია ეფექტური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს, მაგალითად, შევიწროებასთან ბრძოლის პოლიტიკისა და ქცევის კოდექსების შემუშავებას. ეს შემდეგი ნაბიჯია ინსტიტუციური ცვლილების უფრო ფართო პროცესში. ODIHR-ის პუბლიკაცია „გენდერული თანასწორობის გააზრება პარლამენტში: სახელმძღვანელო ეუთოს რეგიონის პარლამენტთათვის"[34] გვთავაზობს კრიტერიუმებს ამგვარი ქცევის კოდექსების ეფექტურობის შესაფასებლად. ესენია:

- „ფაქტებზე დაფუძნებული განვითარება, რაც გულისხმობს პრობლემის ხასიათისა და მასშტაბის შესახებ სანდო მონაცემების შეგროვებას, ძირეული პრინციპების, როგორიცაა გენდერული ნიშნით ძალადობა და ინტერსექციურობა, დადგენასა და გამოყენებას;
- გენდერული ძალადობის ექსპერტებთან კონსულტაციები შესაბამისი კოდექსის შემუშავების, იმპლემენტაციისა და მონიტორინგის მიზნით;
- მსხვერპლთა დამადანაშაულებელ ლექსიკაზე უარის თქმა;
- გამოყენებადობა პარლამენტში დასაქმებული ყველა პირის, მათ შორის, წევრების, მინისტრების, პოლიტიკური პერსონალისა და პარლამენტის პერსონალის მიმართ;
- საჩივრების დამოუკიდებელი განხილვისა და ზიანის ანაზღაურების მექანიზმების შექმნა;
- სავალდებულო პირისპირ ტრენინგები პარლამენტში დასაქმებული ყველა პირისთვის, მათ შორის, პარლამენტის წევრებისთვის; და

32 *Ibid.*

33 ინტერამერიკული მოდელური კანონი პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის შესახებ, https://www.oas.org/en/mesecvi/docs/LeyModeloViolenciaPolitica-EN.pdf (წანახია 2022 წლის 17 ივლისს).

34 „გენდერული თანასწორობის გააზრება პარლამენტში: სახელმძღვანელო ეუთოს რეგიონის პარლამენტთათვის", OSCE/ODIHR, 6 დეკემბერი, 2021, გვ. 36-40, <https://www.osce.org/odihr/506885>.

- შესაბამისი კოდექსისა და გასაჩივრების პროცესის გადასინჯვისა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის რეგულარული შესაძლებლობა, ასევე, გასაჯაროების ვალდებულების შესახებ ნორმების შეტანა."[35]

ეუთოს რეგიონის რამდენიმე პარლამენტს შემუშავებული აქვს **შევიწროების წინააღმდეგ პოლიტიკა და ქცევის კოდექსები** (იხილეთ წინამდებარე ინსტრუქციის ორი დანართი, სადაც მოცემულია საპარლამენტო კოდექსების სრული ჩამონათვალი, ასევე, იმ საპარლამენტო კოდექსების მაგალითები, რომლებიც ეუთოს რეგიონში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას (VAWiP) შეეხება:)

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ქალაქ სარაევოს სტარი გრადის მუნიციპალიტეტის საბჭომ 2018 წელს ცვლილებები შეიტანა თავის ეთიკის კოდექსებში და აკრძალა სექსუალური შევიწროება, ასევე, შემოღებულ იქნა შურისძიებისგან დაცვის მექანიზმები იმ არჩევითი თანამდებობის პირებისთვის, რომლებიც სექსუალური შევიწროების შესახებ განაცხადებდნენ. ეს ცვლილებები საბჭოს ქალი წევრების ინიციატივით განხორციელდა. ეთიკის კოდექსი სექსუალურ შევიწროებას ერთ-ერთ უმძიმეს დარღვევად მიიჩნევს, ხოლო დამნაშავეს სასჯელის სახით საჯარო საყვედური ემუქრება.[36]

ხორვატიამ 2011 წლის 25 მარტს მიიღო საჯარო მოხელეთა ქცევის კოდექსი, რომელიც საჯარო მოხელეების მიმართ სექსუალურ შევიწროებასაც ეხება. კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, საჯარო მოხელეები დაცული არიან სექსუალური შევიწროებისგან, სექსუალური ხასიათის არავერბალური და ფიზიკური ქმედებისგან, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად იწვევს საჯარო მოსამსახურეთა ან სახელმწიფო მოხელეთა ღირსების შელახვას ან მათთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.[37]

35 *Ibid*. იხილეთ აგრეთვე: შერილ კოლიე და ტრეისი რეინი, „კანადის პარლამენტის წევრთა ქცევის კოდექსი თემთა პალატაში სექსუალური შევიწროების შესახებ: პროგრესი თუ რეგრესი?", *Canadian Journal of Political Science*, 51.4, 2018, გვ. 795–815; ტრეისი რეინი და შერილ კოლიე, „პრივილეგია და გენდერული ძალადობა კანადისა და ბრიტანეთის თემთა პალატებში", *Parliamentary Affairs*, 75.2, აპრილი, 2022, <https://doi.org/10.1093/pa/gsaa069>. იხილეთ აგრეთვე გაბრიელ ბარდალი, „პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიღებული პოლიტიკური ზომებისა და გადაწყვეტილებების მიმოხილვა", *European Journal of Politics and Gender*, 3.2, ივნისი, 2020, გვ. 299–301, <https://www.researchgate.net/publication/341243211>.

36 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, *op. cit.*, სქ. 29.

37 ხორვატიის მთავრობის ეთიკის კოდექსი, 2011, <https://vlada.gov.hr/UserDocsImages/2016/Glavno%20tajni%C5%A1tvo/ENG/documents%20in%20english/Code%20of%20Ethics%20for%20Civil%20Servants.pdf>.

კანადა – სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობასთან ბრძოლის საპარლამენტო პოლიტიკის მაგალითი

კანადის თემთა პალატამ, რეგლამენტის დანართის სახით, მიიღო **თემთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი: პალატის წევრთა სექსუალური შევიწროება**.[38]

თემთა პალატის წევრთა აღნიშნული ქცევის კოდექსის მე-2 მუხლი სექსუალურ შევიწროებას შემდეგნაირად განმარტავს: „ერთჯერადი ან განმეორებითი სექსუალური ხასიათის ქმედება, მათ შორის, კომენტარი, ჟესტი ან კონტაქტი, რომელმაც გონივრული შეფასებით შეიძლება გამოიწვიოს შეურაცხყოფა ან დამცირება."

ამავე კოდექსის მე-7 მუხლი კი ადგენს, რომ: „სექსუალური შევიწროების დეფინიციისთვის რაიმე ფარგლების დაწესების გარეშე, სექსუალური შევიწროება შეიძლება იყოს:

(a) სექსუალური მომსახურების მოთხოვნა ან სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა;

(b) არასათანადო ან არასასურველი ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა შეხება, ხელის მოთათუნება ან ბწკენა;

(c) შეურაცხმყოფლი კომენტარები, ჟესტები ან სექსუალური ხასიათის ხუმრობა, რომელიც იწვევს დისკომფორტს ან უხერხულობას;

(d) შეუსაბამო კითხვები ან კომენტარები პირის სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით."

ქცევის კოდექსის თანახმად, პარლამენტის წევრები წერილობით იღებენ ვალდებულებას, დაიცვან კოდექსის მოთხოვნები და უზრუნველყონ სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო (მუხლი 11).

თემთა პალატას შემუშავებული აქვს პოლიტიკა სხვა კატეგორიის თანამშრომლებისთვისაც: **თემთა პალატის წევრთა პოლიტიკა შრომის ადგილზე შევიწროებისა და ძალადობის შესახებ** (2021)[39] ვრცელდება პარლამენტის წევრებზე (როგორც დამქირავებლებზე),

38 დანართი II: თემთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი: სექსუალური შევიწროება წევრებს შორის, კანადის თემთა პალატა, ნანახია 2022 წლის 25 მაისს, <https://www.ourcommons.ca/procedure/standing-orders/Appa2-e.html>.

39 თემთა პალატის წევრთა პოლიტიკა შრომის ადგილზე შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის შესახებ, კანადის თემთა პალატა, 28 იანვარი, 2021, ნანახია 2022 წლის 25 მაისს, <https://www.ourcommons.ca/content/boie/pdf/policy_preventing_harassment-e.pdf>.

პარლამენტის წევრების მიერ დასაქმებულ პერსონალზე, სტაჟიორებსა და მოხალისეებზე (მიუხედავად იმისა, მათი სამუშაო ანაზღაურებადია თუ არა). იგი ეხება პრევენციისა და დაცვის ღონისძიებებს, როგორიცაა ტრენინგები და უსაფრთხოების პროტოკოლები, ასევე, სამუშაო ადგილზე შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევების გადაწყვეტის პროცესს – შეტყობინებისა და გასაჩივრების სისტემას, გამოძიებას და დასკვნით ანგარიშს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს დისციპლინურ ან საკომპენსაციო ზომებს. პოლიტიკის დოკუმენტი შეიცავს აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ძალადობისა და შევიწროების მაგალითების ჩამონათვალს.

ევროპის კავშირში ევროპარლამენტს შემუშავებული აქვს პოლიტიკა შევიწროებისა და დისკრიმინაციის პრევენციის შესახებ.[40] მოვალეობების შესრულებისას, პარლამენტის წევრებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი სახის ფსიქოლოგიური ან სექსუალური შევიწროებისგან და დაიცვან სათანადო ქცევის კოდექსი (იხილეთ რეგლამენტის წესი 10(6). ევროპარლამენტის წევრთა სათანადო ქცევის კოდექსის მიზანია, პარლამენტის წევრები ევროპარლამენტში დასაქმებულ ნებისმიერ პირს ექცეოდნენ ღირსებით, თავაზიანად და პატივისცემით, წინასწარგანწყობის ან დისკრიმინაციის გარეშე. ამავე დროს, წევრები უნდა იქცეოდნენ პროფესიონალურად და თანამშრომლებთან ურთიერთობაში თავი შეიკავონ დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, აგრესიული ან დისკრიმინაციული ლექსიკის გამოყენებისგან, ან ნებისმიერი სხვა არაეთიკური, დამამცირებელი ან უკანონო ქმედებისგან. ქცევის კოდექსი არის პარლამენტის რეგლამენტის დანართი (კერძოდ, დანართი II). საპარლამენტო თანამდებობის დაკავებისას, პარლამენტის თითოეული წევრი ვალდებულია, ხელი მოაწეროს დეკლარაციას, რომლითაც კოდექსის მოთხოვნებისადმი ერთგულებას ადასტურებს. წევრები, რომლებიც არ მოაწერენ ხელს დეკლარაციას, არ შეიძლება არჩეულ იქნან პარლამენტში ან მის ორგანოებში არც ერთ თანამდებობაზე, არ შეიძლება დაინიშნონ მომხსენებლად ან მონაწილეობა მიიღონ ოფიციალურ დელეგაციაში ან უწყებათაშორის მოლაპარაკებებში. ყველა დეკლარაცია, ხელმოწერილი თუ ხელმოუწერელი, ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე (პარლამენტის წევრის პროფილის გვერდზე). რადგან წევრების ხელმოწერების ვებგვერდზე გამოქვეყნება აკრძალულია, დეკლარაციაში მითითებული თარიღი აღნიშნავს იმ დღეს, როცა პარლამენტის წევრმა დეკლარაციას ხელი მოაწერა.

40 „სათანადო ქცევის წესები“, ევროპარლამენტი, *op. cit.*, სქ. 24.

შვედეთის პარლამენტს შემუშავებული აქვს პოლიტიკა ფსიქოლოგიური და სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ, რომელიც პარლამენტის თანამშრომლებისთვისაა განკუთვნილი. თავად პარლამენტის წევრებისთვის მსგავსი მექანიზმი არ არსებობს.[41]

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2018 წელს კონგრესში მიღწეულ იქნა შეთანხმება სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ არსებული პოლიტიკის რეფორმირების შესახებ. ცვლილებების მიხედვით, გაუქმდა სავალდებულო მედიაცია და ლოდინის ხანგრძლივი პერიოდი, კონგრესის წევრებს (და არა გადასახადის გადამხდელებს) დაეკისრათ ანაზღაურების გადახდა, კომიტეტის დასკვნების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნებით გაიზარდა გამჭვირვალობა, კონგრესის წევრებისა და თანამშრომლებისთვის სავალდებულო გახდა შევიწროებასთან ბრძოლის შესახებ ტრენინგები, ასევე, სავალდებულო გახდა სამსახურში არსებული კულტურის შესახებ თანამშრომელთა რეგულარული გამოკითხვა.[42]

41 ერიკსონი და ფრეიდენვალი (2022, იბეჭდება).

42 „ქალები პარლამენტში 2018 წელს: მიმოხილვა“, IPU, 2019, <https://www.ipu.org/resources/publications/reports/2019-03/women-in-parliament-in-2018-year-in-review>.

ევროპის რეგიონის ზოგიერთი პარლამენტი მონაწილეობს ***ცნობიერების ამაღლების და მგრძნობიარობის ამაღლების სხვადასხვა კამპანიაში,*** მათ შორის, ზოგად ღონისძიებებში, რომლებიც შრომის ადგილზე გენდერული თანასწორობის შექმნისკენ არის მიმართული. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაში პარლამენტს წვლილის შეტანა შეუძლია „კარგი პარლამენტის" კულტურის დანერგვით. ამაში იგულისხმება ისეთი სამუშაო ადგილი და გარემო, რომელიც უზრუნველყოფს კარგ სამუშაო პირობებსა და პრაქტიკას და ებრძვის დისკრიმინაციასა და ძალადობის წამახალისებელ ქცევას. აქ პრევენცია, პირველ რიგში, გულისხმობს, საპარლამენტო კულტურის, სამუშაო გარემოსა და პრაქტიკის ყველა ასპექტის რეფორმირებას, რათა გაიზარდოს მთლიანად ინსტიტუტის შესაძლებლობები, თავიდან აიცილოს ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც პარლამენტს შიგნით, ისე მის გარეთ.

ევროპის კავშირში 2008 წელს ევროპარლამენტმა პირველად მიიღო სახელმძღვანელო წესები ევროპარლამენტში გენდერულად ნეიტრალური ენის გამოყენების შესახებ. ეს დოკუმენტი განახლდა 2018 წელს.[43] ვინაიდან გენდერული თანასწორობა და არადისკრიმინაცია ევროპის კავშირის ფუნდამენტური ღირებულებებია, ეს სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, უზრუნველყოს გენდერულად ინკლუზიური ენის გამოყენება ევროპარლამენტის დოკუმენტებსა და კორესპონდენციაში, ყველა ოფიციალურ ენაზე. რადგან ენა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის გასარიყად ან დისკრიმინაციისთვის, მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენებოდეს ინკლუზიური ენა.

2018 წელს **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE)** დაიწყო კამპანია #NotInMyParliament. ამ ჰეშთეგის მიზანი იყო „ხმამაღალი და მკაფიო მესიჯის გაგზავნა – რომ ასეთი საქციელი უბრალოდ მიუღებელია", განაცხადა PACE-ს ყოფილმა პრეზიდენტმა, ლილიან მორი პასკიემ, საპარლამენტთაშორისო კავშირთან ერთობლივი კვლევის ჩატარების შემდეგ, რომელმაც აჩვენა, რომ ევროპის ქვეყნების პარლამენტებში მაღალი იყო ქალთა მიმართ სექსიზმის, შევიწროებისა და ძალადობის მაჩვენებლები.[44]

საფრანგეთში სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად მანიფესტებსა და ღია წერილებსაც იყენებენ. 2016 წელს, პარლამენტის თავმჯდომარის მაშინდელ მოადგილესთან, დენის ბოპენთან დაკავშირებული სექსუალური შევიწროების სკანდალის შემდეგ, 500-

43 „გენდერულად ნეიტრალური ტერმინოლოგია ევროპარლამენტში", ევროპული პარლამენტი, 2018, <https://www.europarl.europa.eu/cmsdata/151780/GNL_Guidelines_EN.pdf>.

44 ინიციატივა #NotInMyParliament, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 23 ნოემბერი, 2018, <https://pace.coe.int/en/pages/not-in-my-parliament>.

ზე მეტი აქტივისტი და არჩეული თანამდებობის პირი გაერთიანდა პოლიტიკაში სექსუალური შევიწროების „დაუსჯელობის დასასრულებლად". 17-მა ყოფილმა ქალმა მინისტრმა, რომლებიც სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენდნენ, ერთობლივი მოწოდება გამოაქვეყნეს და დაგმეს სექსისტური კომენტარები და ქცევა ფრანგულ პოლიტიკაში. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ „პოლიტიკის სამყარო უნდა იყოს სანიმუშო". ამ მანიფესტებისა და ღია წერილების გამოქვეყნებიდან ექვსი თვის თავზე, საფრანგეთის პარლამენტის ქალმა თანამშრომლებმა ჩამოაყალიბეს ცნობიერების ამაღლების კოლექტივი სახელწოდებით „Chair Collaboratrice". 2019 წლის დასაწყისში ჯგუფის წევრებმა გამოაქვეყნეს სარედაქტორო წერილი და მოუწოდეს მთავრობასა და პარლამენტის ორივე პალატას, შეექმნათ დამოუკიდებელი სამსახური, რომელიც მიიღებდა ქალების შეტყობინებებს, მხარს დაუჭერდა მათ ძალისხმევას და დაეხმარებოდა სასამართლო წარმოების დროს. დაახლოებით იმავე პერიოდში, ეროვნულ ასამბლეასა და სენატში გაიმართა პოსტერების კამპანია, რომელიც საზოგადოებას შეახსენებდა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით და სასარგებლო ინფორმაციას აწვდიდა მსხვერპლთა მიღებისა და დახმარების არსებული სერვისების შესახებ.[45]

იტალიაში, იტალიის პარლამენტმა მგრძნობიარობის ამაღლების ზოგადი ინიციატივები განახორციელა. 2016 წელს იტალიის დეპუტატთა პალატის მაშინდელმა თავმჯდომარემ ცალკე ოთახი გამოყო ქალებისთვის. ქალთა ოთახში გამოფენილია იტალიის პოლიტიკაში – ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე – პირველი ქალი წარმომადგენლების სურათები. ცარიელ კედელზე სამი სარკეა, თითოეული განკუთვნილი იმ პოლიტიკური თანამდებობისთვის, რომელიც ქალს ჯერ კიდევ არ დაუკავებია (ესენია: რესპუბლიკის პრეზიდენტის, სენატის თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები).[46] **სარკეების ქვეშ მინაწერია ქალი ვიზიტორებისთვის: „თქვენ შეიძლება იყოთ პირველი".**

მსგავსი ინიციატივა განხორციელდა შვედეთში 2010 წელს, როცა შვედეთის პარლამენტმა მოაწყო ქალთა ოთახი, სადაც გამოფენილი იყო პირველი ქალი პარლამენტარის, პირველი ქალი მინისტრის, პირველი ქალი პარტიის ლიდერის და პირველი ქალი პარლამენტის თავმჯდომარის სურათები. ცარიელ კედელზე ეკიდა სარკე, რომლის ქვეშაც ეწერა: „შვედეთის პირველი პრემიერმინისტრი – თქვენ ხომ არა?"[47]

45 კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21, გვ. 163-166.

46 ეს შეიცვალა, როცა 2022 წელს მელონი გახდა პრემიერმინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

47 ლენიტა ფრეიდენვალი და ჟოზეფინა ერიკსონი, „თავმჯდომარის გენდერული თანასწორობის ჯგუფი შვედეთის პარლამენტში – უკბილო ვეფხვი?" *Politics, Groups, and Identities*, 8.3, 20 აპრილი, 2020, გვ. 627-636, <https://doi.org/10.1080/21565503.2020.1752442>.

ისევ **შვედეთში**, შვედეთის პარლამენტი რეგულარულად აწყობს დებატებსა და საჯარო სემინარებს. მაგალითად, პარლამენტმა გამართა დებატები #MeToo მოძრაობის შესახებ, ასევე, საჯარო სემინარი, სადაც პარლამენტარებმა და ორმა მინისტრმა წაიკითხეს იმ ქალი პოლიტიკოსების ანონიმური წერილები, რომლებსაც სექსუალური შევიწროება განუცდიათ სხვადასხვა პარტიაში საქმიანობის დროს. გარდა ამისა, პარლამენტმა მოაწყო ნორდიკული სემინარი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე, სადაც ამ თემაზე ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია შედგა, ხოლო შემდეგ მრგვალი მაგიდის დისკუსია გაიმართა პარლამენტართა მონაწილეობით, მათ შორის, დანიის, ისლანდიისა და ნორვეგიის პარლამენტთა, ასევე, ალანდის რეგიონული პარლამენტის წევრებისა და თავმჯდომარეების მონაწილეობით.[48]

ამერიკის **შეერთებულ შტატებში** სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად იყენებენ მანიფესტებსა და ღია წერილებს. 2017 წლის ოქტომბერში კალიფორნიის პოლიტიკაში ჩართულმა 140-ზე მეტმა ქალმა — კანონმდებლებმა, პერსონალმა, კონსულტანტებმა და ლობისტებმა, როგორც დემოკრატიული, ისე რესპუბლიკური პარტიიდან — ხელი მოაწერეს ღია წერილს, რომელიც ლოს ანჯელეს ტაიმსში გამოქვეყნდა.[49]

სექსიზმის აღმოფხვრა და ძალთა არსებული თანაფარდობის ეჭვქვეშ დაყენება ხელს შეუწყობს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებას. პოლიტიკოსებისთვის უცხო არ არის ეგრეთ წოდებული **დომინაციის მეთოდები** (რასაც სხვაგვარად ზეწოლის ძირითად მეთოდებსაც უწოდებენ) და არც **ამ ტიპის ძალადობასთან ბრძოლის კონტრსტრატეგიები.** დომინაციის მეთოდები არის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება სხვებზე ძალაუფლების დასამყარებლად. ისინი, ვინც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დომინაციის მეთოდებს მიმართავენ, თავიანთ უპირატესობას ან ძალაუფლებას იყენებენ, რათა სხვა ადამიანი, პროფესიულ და/ან პირად ცხოვრებაში, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენონ/ამყოფონ. დომინაციის მეთოდების გამოყენებას ხშირად თან ახლავს გენდერული ნიშნით შეურაცხყოფა ან შევიწროება და, ამდენად, ეს მეთოდები სემიოტიკური ძალადობის მაგალითებად მიიჩნევა[50] (პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმების მიმოხილვა იხილეთ შესავალ ინსტრუმენტში). ჯერ კიდევ 1970-იან წლებში

48 ინტერვიუ შვედეთის პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ოსა ლინდესტამთან.

49 კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21, გვ. 166.

50 სიმბოლური ან სემიოტიკური ძალადობა, როგორც ფართო მნიშვნელობის ტერმინი, სულ უფრო მეტად გამოიყენება აკადემიურ წრეებში, როგორც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი გამოვლინება და აღნიშნავს სიმბოლური ქმედებების, სექსუალიზებული ენის ან გამოსახულების, გენდერული დეზინფორმაციის, ასევე, მორალური საკითხის იმგვარ გამოყენებას ან გავლენას, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის, ხმისა თუ საქმიანობისთვის ზიანის მიყენებას (პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ფორმების მიმოხილვა იხილეთ შესავალი ინსტრუმენტში).

ნორვეგიელმა სოციოლოგმა, ბერიტ ოსმა დომინაციის ხუთი მეთოდი დაასახელა. ესენია: გაქრობა, დაცინვა, ინფორმაციის შეზღუდვა, დასჯა, დადანაშაულება და შერცხვენა, რომლებსაც შემდეგ დაემატა კიდევ ორი მეთოდი: განივთება და ძალადობა და ძალადობით დამუქრება.[51]

კანადაში სემიოტიკური ძალადობის წინააღმდეგ გამოიყენება სემიოტიკური ინვერსია. როდესაც კანადის პარლამენტის წევრმა, ჯერი რიცმა ახალი ამბის ბმული დადო და დატვიტა:[52] „ვინმემ უთხრა ეს ჩვენს კლიმატის ბარბის?", გარემოსა და კლიმატის დაცვის მინისტრმა, კეტრინ მაკკენამ შემდეგი ტვიტით უპასუხა: „ასეთ სექსისტურ ენას თქვენი ქალიშვილის, დედის ან დის მიმართ გამოიყენებთ? ჩვენ მეტი ქალი გვჭირდება პოლიტიკაში. თქვენი სექსისტური კომენტარები ვერ გაგვაჩერებს."[53] ეს არის მაგალითი, იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს ცალკეულმა პარლამენტარმა 'ინვერსია'. ასეთი ღონისძიებები შეიძლება ჩაითვალოს კონტრსტრატეგიად დომინაციის ისეთი მეთოდებისთვის, როგორიცაა განივთება (ადამიანის შეფასება მხოლოდ მისი გარეგნული მონაცემების მიხედვით) და დაცინვა (ადამიანის სასაცილოდ აგდება და გამასხარავება).

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ხშირად გამოიყენება სემიოტიკური ინვერსია სემიოტიკური ძალადობის წინააღმდეგ. როდესაც დონალდ ტრამპმა ჰილარი კლინტონს „საზიზღარი ქალი" უწოდა 2016 წლის საპრეზიდენტო დებატების დროს, ტრამპს ოპონენტები გამოეხმაურნენ და სიტყვა „საზიზღარი" ისე გამოიყენეს, რომ მისი დისოცირება შეძლეს, რასაც მოჰყვა ის, რომ Twitter-ზე პოპულარული გახდა #NastyWoman. ვიღაცამ დაწერა: „თუ ის საზიზღარი ქალია, მაშინ მეც მინდა, ვიყო საზიზღარი ქალი".[54] **სემიოტიკური ინვერსია ცალკეულმა პოლიტიკოსებმა თავიანთ სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენონ. სემიოტიკური ძალადობის წინააღმდეგ აშშ-ში ამპლიფიკაციასაც იყენებენ: როცა კონგრესმენმა ქალმა მნიშვნელოვანი არგუმენტი გამოთქვა კონგრესში, სხვა ქალებმა მისი გამეორება დაიწყეს, ავტორზე მითითებით. ამგვარად, ეს ხერხი შეიძლება ჩაითვალოს დომინაციის ისეთი მეთოდის კონტრსტრატეგიად, როგორიცაა გაქრობა (ადამიანის უჩინრად ქცევა, მარგინალიზება ან გარიყვა).**

51 იხილეთ, მაგ., შვედეთის კაროლინსკას ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი ინსტრუქციები ზეწოლის ძირითადი მეთოდებისა და კონტრსტრატეგიების შესახებ, <https://staff.ki.se/master-suppression-techniques>, (ნანახია 2022 წლის 25 მაისს).

52 ჯოშ დეჰაასი, „მაკკენა აკრიტიკებს თანამდებობიდან წამსვლელ კონსერვატორ პარლამენტარს „კლიმატის ბარბის" შესახებ სექსისტური ტვიტის გამო", CTV News, 19 სექტემბერი, 2017, <https://www.ctvnews.ca/politics/mckenna-calls-out-outgoing-conservative-mp-for-sexist-climate-barbie-tweet-1.3597464>.

53 კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21.

54 *Ibid.*

პრევენცია – გზამკვლევი პარლამენტთათვის

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია ცნობიერების ამაღლებისა და სწავლების გზით

- პარლამენტის ყველა თანამშრომელს შესთავაზეთ ტრენინგი სამსახურში პატივისცემით მოპყრობის შესახებ, ასევე, ძალადობისა და შევიწროების თავიდან აცილების შესახებ;

- დანერგეთ რეგულარული სავალდებულო კურსები (როგორც ონლაინ, ისე პირისპირ) ყველა ახალი პარლამენტარისა და თანამშრომლისთვის და რეგულარულად მოაწყვეთ სემინარები და სამუშაო შეხვედრები პოლიტიკასა და სამსახურში ძალადობისა და შევიწროების თემებზე;

- იმუშავეთ განათლებასა და მგრძნობელობის ამაღლებაზე, მაგალითად, აღნიშნეთ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე (25 ნოემბერი), ჩაატარეთ კონფერენცია ან სემინარი პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე, გააუმჯობესეთ სამუშაო ადგილის კულტურა, მათ შორის, დანერგეთ გენდერულად მგრძნობიარე ენობრივი პოლიტიკა, უზრუნველყავით გენდერულად მგრძნობიარე და ოჯახზე მორგებული სამუშაო პირობები (ბავშვთა მოვლის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, შეხვედრების ფიქსირებული დრო და სხვ.

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია საკანონმდებლო ჩარჩოსა და პოლიტიკის გაუმჯობესების გზით (იხილეთ ასევე წინამდებარე ინსტრუმენტის დანართი 1)

- მიიღეთ და განახორციელეთ კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს და სისხლის სამართლის წესით სჯის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას;

- პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიიღეთ პარლამენტის პოლიტიკის ცალკე დოკუმენტი და/ან შეიტანეთ ცვლილებები არსებულ რეგლამენტსა თუ ქცევის კოდექსებში, რათა ეს საკითხიც აისახოს, გენდერული თანასწორობის სხვა საკითხებთან ერთად, და განისაზღვროს ადეკვატური და დამოუკიდებელი აღსრულების მექანიზმები;
  - » განმარტეთ პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა და ძალადობრივი ქმედებები საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ თქვენი პოლიტიკის მიზნები;

» პოლიტიკა უნდა ეხებოდეს პარლამენტში დასაქმებულთა ყველა კატეგორიას (როგორც პარლამენტის წევრებს, ისე პერსონალს). მიუთითეთ, ვის შეეხება და დაიცავს იგი და ასევე, განსაზღვრეთ ამ პოლიტიკის მოქმედების არეალი;

» მკაფიოდ განსაზღვრეთ, ვის რა როლი და პასუხისმგებლობა აქვს პოლიტიკის აღსრულებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;

» უზრუნველყავით, რომ პოლიტიკა ითვალისწინებდეს ამ ინსტრუმენტში აღნიშნულ ყველა ღონისძიებას, ესენია — პრევენცია, დაცვა, სამართლებრივი დევნა და კოორდინირებული პოლიტიკა;

» გამოყავით ბიუჯეტი და საკმარისი ადამიანური რესურსები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საპარლამენტო მექანიზმებისთვის;

» გაითვალისწინეთ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები დადგენილი პერიოდულობით პოლიტიკის გადასინჯვის უზრუნველსაყოფად.

- უზრუნველყავით ეროვნული კანონმდებლობისა და პარლამენტის პოლიტიკისა და პროცედურების ჰარმონიზაცია, რათა არ არსებობდეს ხარვეზები დაცვის ან აღსრულების მექანიზმებში;

- პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეთ პარლამენტშიც და მის გარეთაც;

- პოლიტიკის დოკუმენტზე ხელი მოაწერინეთ პარლამენტის წევრებს და ყველა სხვა თანამშრომელს.

დაცვა

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრლად უმნიშვნელოვანესია ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა. როგორც წინა ნაწილში უკვე აღინიშნა, აუცილებელია კანონების შემუშავება და პოლიტიკის განსაზღვა, მაგრამ მათი ეფექტურობისთვის უნდა არსებობდეს ასევე აღსრულების ჯეროვანი მექანიზმები. ამგვარად, პარლამენტებმა არა მხოლოდ მუშა კანონები და პოლიტიკა უნდა შეიმუშაონ, არამედ აღსრულების შესაბამისი მექანიზმებიც უნდა უზრუნველყონ. აქ იგულისხმება გასაჩივრების მექანიზმები და ხარისხიან კონსულტაციასა და მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობა. ეს ღონისძიებები აუცილებელია უფრო ფართო, ინსტიტუციური გარდაქმნისთვის.

ეუთოს რეგიონის ზოგიერთ პარლამენტს მიღებული აქვს სამართლებრივი ჩარჩო პოლიტიკაში ქალების ძალადობისგან დასაცავად; კერძოდ, შექმნილი აქვთ ***გასაჩივრების მექანიზმები*** და სხვა ***უსაფრთხოების ზომები.*** მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრების მექანიზმები იყოს დამოუკიდებელი და ხელმისაწვდომი, როგორც პარლამენტის წევრებისთვის, ისე პარლამენტის პერსონალისთვის.

ავსტრიაში პარლამენტმა შექმნა დამოუკიდებელი სტრუქტურა – *Clearingstelle*, რომელსაც წარმოადგენს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი ექსპერტი. შევიწროების ფაქტების შემთხვევაში, მას შეიძლება მიმართონ ორივე პალატის დეპუტატებმა, პოლიტიკურ ჯგუფებში დასაქმებულებმა და საპარლამენტო თანაშემწეებმა და, კონფიდენციალობის დაცვით, მიიღონ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია და ინდივიდუალური კონსულტაცია. ეს სტრუქტურა, პირველ რიგში, პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების ინიციატივებს ახორციელებს და ზრუნავს ინსტიტუტის შიგნით პატივისცემის ატმოსფეროს შექმნაზე.[55]

ევროპის კავშირში, ევროპარლამენტში შექმნილია გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც იხილავს ფსიქოლოგიური ან სექსუალური შევიწროების შესახებ პარლამენტის თანამშრომლების, თანაშემწეების ან სტაჟიორების საჩივრებს პარლამენტის წევრთა წინააღმდეგ.[56] საჩივრებს თავდაპირველად შესაბამისი ადმინისტრაციული განყოფილება განიხილავს და მომჩივნის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და სხვა დამატებით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ამზადებს საქმეს სამუშაო ადგილზე შევიწროების პრევენციისთვის

55 „სახელმძღვანელო წესები პარლამენტში ქალთა მიმართ სექსიზმის, შევიწროებისა და ძალადობის აღმოფხვრისთვის“, საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU), *op. cit.*, სქ. 2.

56 ევროპარლამენტში თანამშრომლებისა და საჯარო მოხელეების ეთიკური ქცევის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: სათანადო ქცევის წესები: *op. cit.*, სქ. 24

შექმნილი საკონსულტაციო კომიტეტისთვის. ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, prima facie დასაშვებია თუ არა საჩივარი და ხომ არ არის საჭირო დროებითი ზომების გამოყენება. თუ საკმარისი მტკიცებულებები არსებობს, საკონსულტაციო კომიტეტი იწყებს გამოძიებას, რომლის ფარგლებშიც იმართება მომჩივნის, მოწმეებისა და ბრალდებულის მოსმენები. პროცედურის დასრულების შემდეგ კომიტეტი თავის დასაბუთებულ მოსაზრებას კონფიდენციალური ანგარიშის სახით უგზავნის ევროპარლამენტის პრეზიდენტს. თანამშრომელთა შესახებ 24-ე წესის თანახმად, პარლამენტის თანამშრომლებსა და თანაშემწეებს შეუძლიათ, ითხოვონ მხარდაჭერა და დახმარება, ხოლო დასახელებულ ორგანოს შეუძლია ყველა გადაუდებელი ზომის გამოყენება მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუ პრეზიდენტი დაადგენს, რომ შევიწროებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მსხვერპლს, თუ იგი გადაწყვეტს შესაბამისი ევროპარლამენტარის წინააღმდეგ საქმის წარმოებას სასამართლოში, პარლამენტი უნაზღაურებს იურიდიულ ხარჯებს. გარდა ამისა, თუ თანაშემწეს, შევიწროების ფაქტის გამო, აღარ შეუძლია იმავე დეპუტატთან მუშაობა, მისი ხელფასი შეიძლება ანაზღაურდეს დეპუტატის ბიუჯეტიდან, რომელიც პარლამენტის თანაშემწეთათვის არის გამოყოფილი.[57]

შვედეთში არსებობს ოფიციალური პროცედურა, რომლითაც შესაძლებელია საჩივრის შეტანა პარლამენტის ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსთან და ასევე შემდგომი გამოძიების ჩატარება. ეს პროცედურა, რომელიც წერილობით ან ზეპირ შეტყობინებას ეფუძნება, ანგარიშსწორებისა და ბრალდებულთან კონტაქტისგან დაცვას უზრუნველყოფს. გამოძიება კონფიდენციალურია. თითოეული მხარე გამოიკითხება ინდივიდუალურად და უფლება აქვთ, თან ახლდეთ წარმომადგენლები. დგება გამოკითხვის ოქმები და ყველა მხარეს ეცნობება შიდა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. დამქირავებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ შევიწროება შეწყდეს. მსხვერპლსა და ბრალდებულს შეუძლიათ ისარგებლონ ოკუპაციური ჯანდაცვის მომსახურებით. ამ საკითხებს ყურადღება ეთმობა მენეჯერების ტრენინგებზე. ამ ინფორმაციას აცნობენ ყველა ახალ თანამშრომელს. დაგეგმილია ასევე ცნობიერების ამაღლების პროგრამების დანერგვა.[58]

57 „სახელმძღვანელო წესები პარლამენტში ქალთა მიმართ სექსიზმის, შევიწროების და ძალადობის აღმოფხვრისთვის", საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU), *op. cit.*, სქ. 2.

58 ერიკსონი და ფრეიდენვალი (2022, იბეჭდება); ინტერვიუები შვედეთის პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებთან. იხილეთ აგრეთვე IPU 2019.

გაერთიანებულ სამეფოში არსებობს საჩივრების და პრეტენზიების დამოუკიდებელი მექანიზმი (ICGS), რომელიც განიხილავს დაშინებასთან, შევიწროებასთან და/ან სექსუალურ გადაცდომასთან დაკავშირებულ საჩივრებს. ICGS ემსახურება არა მარტო მათ, ვინც განიცადა ძალადობა, არამედ მოწმეებსა და სხვებსაც, ვისაც აქვთ ინფორმაცია დაშინების, შევიწროების ან სექსუალური გადაცდომის ფაქტების შესახებ. ICGS პარლამენტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის რამდენიმე დოკუმენტს ეფუძნება, ესენია: ქცევის კოდექსი, დაშინებისა და შევიწროების წინააღმდეგ პოლიტიკა, დაშინებისა და შევიწროების წინააღმდეგ პროცედურა, სექსუალური გადაცდომების წინააღმდეგ პოლიტიკა და სექსუალური გადაცდომების წინააღმდეგ პროცედურა. ICGS-ს აქვს დახმარების ცხელი ხაზი, სადაც შესაძლებელია არსებული შესაძლებლობებისა და პროცედურების შესახებ რჩევებისა და დახმარების მიღება. ცხელი ხაზი კონფიდენციალურია და მოქმედებს პარლამენტისგან დამოუკიდებლად. მას ოპერირებას უწევს დამოუკიდებელი საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც სპეციალიზებულია დანაშაულისა და ტრავმული ინციდენტების მსხვერპლთათვის საჭირო მხარდაჭერის გაწევაზე. შეტანილ საჩივარს დამოუკიდებელი გამომძიებელი აფასებს. თუ საჩივარი აკმაყოფილებს გამოძიების დაწყების კრიტერიუმებს, სრულფასოვანი, დამოუკიდებელი გამოძიება ტარდება გარე გამომძიებლის მიერ. გამოძიების პროცესისთვის ორი გზამკვლევია შემუშავებული: ერთი – მომჩივნისთვის, ხოლო მეორე – საჩივრის ადრესატისთვის.[59] ICGS ასევე ითვალისწინებს სექსუალური ძალადობის საკითხებზე დამოუკიდებელი კონსულტანტის მომსახურებას, რომელსაც შეუძლია, მსხვერპლს დახმარება გაუწიოს ICGS-ის ან სისხლის სამართლის ფარგლებში მიმდინარე ნებისმიერი პროცესის განმავლობაში. კონსულტანტს ასევე შეუძლია ინფორმაციის მიწოდება და სხვა მხარდამჭერ სამსახურებში გადამისამართება. ICGS-ის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობებისთვის საჭირო ზომების შეთავაზებით, როგორიცაა, მაგალითად, თარჯიმნის მომსახურება, ვიდეოზარები, სუბტიტრები ცოცხალ რეჟიმში და მოქნილი საკონტაქტო საათები. ICGS აქვეყნებს წლიურ ანგარიშებსაც, სადაც წარმოდგენილია ანონიმური მონაცემები მომხმარებლების, გამოძიებებისა და სასწავლო კურსების შესახებ. [60]

59 საჩივრებისა და პრეტენზიების დამოუკიდებელი მექანიზმი (ICGS), წანახია 2022 წლის 15 ივლისს, <https://www.parliament.uk/about/independent-complaints-and-grievance-scheme/>.

60 *Ibid.*

უსაფრთხოების ზომები პარლამენტში – გაერთიანებული სამეფო

პარლამენტის ყველა წევრს შეუძლია ისარგებლოს უსაფრთხოების რეკომენდებული ზომებით თავისი ოლქის საარჩევნო ოფისებისა და სახლებისთვის.

პარლამენტის ყველა წევრს ან თანამშრომელს, რომელსაც აქვს უსაფრთხოების პრობლემა პარლამენტის შენობის გარეთ, რეკომენდაცია ეძლევა, პირველ რიგში, მიმართოს ადგილობრივ პოლიციას. აქ იგულისხმება ინტერნეტში ან სოციალურ მედიაში მიღებული მუქარის ან შევიწროების შესახებ შეტყობინებაც. გარდა ამისა, პოლიციაში მოქმედებს საპარლამენტო საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც პარლამენტის წევრებსა და თანამშრომლებს კონსულტაციას უწევს ნებისმიერი პირდაპირი საფრთხის ან სხვა გადაუდებელი საკითხის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე, განიხილავს პარლამენტის ტერიტორიაზე არსებულ უსაფრთხოების პრობლემებს.

გარდა ამისა, მოქმედებს წევრთა უსაფრთხოების მხარდაჭერის სამსახური. ეს გახლავთ სპეციალურად გამოყოფილი, სპეციალიზებული ჯგუფი პარლამენტში, რომელიც ეხმარება წევრებს თავიანთი ოფისებისა და სახლებისთვის უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფაში. პარლამენტის წევრებსა და თანამშრომლებს ჯგუფი კონსულტაციებს უწევს პირადი უსაფრთხოების თემაზეც, მათ შორის, სოციალურ მედიაში უსაფრთხოების საკითხებზე.[61]

61 *Ibid.*

2016 წელს პარლამეტის წევრის, ჯო კოქსის მკვლელობის შემდეგ, პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ავტომატურად ყველა პარლამენტარისთვის შეეთავაზებინა გაძლიერებული უსაფრთხოება – მათ შორის, განგაშის სიგნალის ღილაკები, დამატებითი განათება და დამატებითი საკეტები. ეს ზომები განხორციელდა ისე, რომ არ საჭიროებდა პარლამენტის წევრთა მხრიდან მოთხოვნას. გაერთიანებულ სამეფოში ინტერნეტში ფსიქოლოგიურ ძალადობას ებრძვიან ასევე წაშლის, დაბლოკვისა და შევიწროების ფაქტის შეტყობინების გზით. დაიან ებოტისთვის, რომელიც ბრიტანეთის პარლამენტში არჩეული პირველი შავკანიანი ქალია, და მისი თანამშრომლებისთვის ეს ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

ზოგი პარლამენტი სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად ***შეტყობინების ალტერნატიულ მექანიზმებს*** იყენებს, მათ შორის, ბლოგებს და ვებგვერდებს, იმ შემთხვევაში, როცა ოფიციალური მექანიზმები მიმართვის მიუხედავად ვერ უზრუნველოფენ საკმარის რეაგირებას წარდგენილ საჩივარზე ან პრეტენზიაზე. ასეთმა მექანიზმებმა შეიძლება სტიმული მისცენ ოფიციალური საპარლამენტო მექანიზმების გაუმჯობესებას.

ევროპის კავშირში 2018 წელს, ევროპარლამენტის თანამშრომლების ერთობლივი ინიციატივით შეიქმნა ბლოგი #MeTooEP, სადაც ქალებს შეუძლიათ, ანონიმურად ილაპარაკონ სექსუალური შევიწროების იმ შემთხვევების შესახებ, რომლებიც პირადად განუცდიათ ან რომელთა მოწმეც გამხდარან პარლამენტში. ამასთანავე, ბლოგი შეიცავს სექსუალური შევიწროების განმარტებას და რჩევებს, რა უნდა გააკეთოს ქალმა ასეთ შემთხვევაში; ბლოგზე მითითებულია ასევე რესურსები, სადაც შეიძლება დახმარების ძიება.[62]

საფრანგეთში 2016 ოქტომბერში *Chair Collaboratrice*-მა შექმნა ვებგვერდი ქალი პოლიტიკოსებისთვის, სადაც შეეძლოთ, ანონიმურად გამოექვეყნებინათ მათი ისტორიები. ისინი აღნიშავენ, რომ „ერთად უფრო ძლიერები ვართ“ და რომ ეს გვერდი „აჩვენებს ამ ფენომენის მასობრიობას“. ამავე გვერდზე თანამშრომლებს შეეძლოთ ასევე საკონტაქტო მონაცემების დატოვება დამატებითი ინფორმაციის ან დახმარების მისაღებად.[63]

62 მაია დე ლა ბაუმი, „ევროპარლამენტში ბლოგი MeTooEP შეიქმნა“, *Politico*, 8 ოქტომბერი, 2018, <https://www.politico.eu/article/european-parliament-gets-metooep-blog/>.

63 კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21, გვ. 164.

დაცვა – მზამკვლევი პარლამენტთათვის

- მიიღეთ და დანერგეთ კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს და სისხლის სამართლის წესით დასჯადს ხდის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას და აწესებს დაცვის ძლიერ მექანიზმებს;

- შემოიღეთ გასაჩივრების დამოუკიდებელი მექანიზმი, რომლითაც სარგებლობა შეეძლებათ როგორც პარლამენტის წევრებს, ისე პარლამენტის ყველა თანამშრომელს;

- უზრუნველყავით მსხვერპლზე/გასაჩივრების დადგენილი ორიენტირებული მიდგომა ყველა ღონისძიების დროს;[64]

- პოლიტიკაში მყოფი პირებისთვის, რომლებმაც განიცადეს ძალადობა ონლაინ ან ფიზიკურ სივრცეში, უზრუნველყავით დახმარება და კონსულტაცია, კერძოდ:
  - » შემოიღეთ დახმარების ცხელი ხაზი და/ან დანიშნეთ საკონტაქტო პირი, რომელიც მიაწვდის ინფორმაციასა და რჩევებს;
  - » მიაწოდეთ ინფორმაცია შეტყობინებისა და გასაჩივრების მექანიზმის თაობაზე (იხილეთ მომდევნო ნაწილი);
  - » შესთავაზეთ მხარდაჭერისა და კონსულტაციის სერვისები პარლამენტში ან გადაამისამართეთ პარლამენტის გარეთ არსებულ სერვისებთან;
  - » მიიღეთ უსაფრთხოებისა და დაცვის ღონისძიებები შემდგომი კონტაქტისა და ძალადობის თავიდან ასაცილებლად;
  - » მიაწოდეთ უფასო (სამართლებრივი) დახმარება და სხვა პროცესუალური დახმარება;

- შემოიღეთ რეპარაციის ზომები მომჩივანთათვის, მაგალითად, კომპენსაცია;

- წაახალისეთ ქალები, რომლებაც განიცადეს ძალადობა პოლიტიკაში და/ან ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, შეიტანონ სარჩელები ეროვნულ სასამართლოებში, მიმართონ სახალხო დამცველის ოფისებს და/ან საერთაშორისო სახელშეკრულებო ორგანოებს, გასაჩივრების დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

64 იხილეთ, მაგ., ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ, (CETS No. 210), სტამბოლი, 11/05/2011, მუხლი 7: "...ყველა ღონისძიების ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მსხვერპლის უფლებები", <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=treaty-detail&treatynum=210>.

სამართლებრივი დევნა

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად საჭიროა დისციპლინური სანქციების შემოღება და დამნაშავეთა წინააღმდეგ გატარება. სტამბოლის კონვენციისა და CEDAW-ს თანახმად, უნდა არსებობდეს დებულებები სასჯელისა და სანქციების შესახებ. საპარლამენტო იმუნიტეტი და პრივილეგიები არ უნდა გახდეს წინაღობა პოლიტიკაში ქალთა მიმართ შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და არ უნდა იცავდეს პარლამენტის წევრებს, რომლებიც ჩაიდენენ ძალადობას.[65] ევროპის წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში საპარლამენტო იმუნიტეტი იზღუდება ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა სიძულვილის ენა, რასისტული კომენტარები, ან ძალადობის ან დანაშაულის ჩადენის საფრთხე.[66] თავის 2274(2019) რეზოლუციაში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რეკომენდაციას იძლევა, რომ „გადაისინჯოს იმუნიტეტთან დაკავშირებული ის წესები, რომლებიც პარლამენტის წევრს იცავს სამართლებრივი დევნისგან ქალთა მიმართ სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევაში, თუ ასეთი გადასინჯვა უკვე არ მომხდარა."[67] ზემოაღნიშნული ზომები, ასევე, დამოუკიდებელი გამოძიებისა და სანქციების მექანიზმები, აუცილებელი ნაბიჯებია უფრო ფართო, ინსტიტუციური ცვლილებების გზაზე.

65 გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზების და პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობაზე მისი გავლენის შესახებ, A/73/301 - E - A/73/301, 2018, გვ. 19, <https://digitallibrary.un.org/record/1640483>.

66 „კეთილსინდისიერება პარლამენტში: რესურსი რეფორმატორებისთვის", OSCE/ODIHR, 8 თებერვალი, 2022, <https://www.osce.org/odihr/511576>.

67 რეზოლუცია 2274 (2019) სექსიზმისა და სექსუალური შევიწროებისგან პარლამენტის დაცვის შესახებ, PACE, 9 აპრილი, 2019, <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=27614&lang=en>. საპარლამენტო იმუნიტეტის შესახებ იხილეთ აგრეთვე: OSCE/ODIHR, „კეთილსინდისიერება პარლამენტში", *op. cit.*, სქ. 65.

ევროსოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტებში არსებობს ***გასაჩივრების მექანიზმებისა და სანქციების*** კარგი პრაქტიკების მაგალითები:

ალბანეთის პარლამენტში, ალბანეთის რესპუბლიკის ასამბლეის რეგლამენტი (მუხლი 65) ითვალისწინებს დისციპლინურ ზომებს ნებისმიერი ფორმით სექსუალური შევიწროებისთვის. დისციპლინურ ზომებს შორისაა კომიტეტის და/ან პლენარულ სხდომაში მონაწილეობის 10 დღით აკრძალვა ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროების ჩადენის შემთხვევაში.[68]

ევროპის კავშირში, ევროპარლამენტში, პარლამენტარების მიერ ჩადენილ შევიწროების ფაქტებზე საჩივრებს განიხილავს საკონსულტაციო კომიტეტი. კომიტეტი შედგება ექვსი წევრისგან, რომელთაგან სამს არჩევს ევროპარლამენტის პრეზიდენტი პარლამენტის კვესტორთაგან, ორს ნიშნავს პარლამენტის აკრედიტებულ თანაშემწეთა კომიტეტი, ხოლო ერთი არის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ევროპარლამენტის სამედიცინო სამსახურისა და იურიდიული სამსახურის თითო-თითო წარმომადგენელი კომიტეტს საექსპერტო მომსახურებას უწევენ. შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, კონფიდენციალური შიდა გამოძიებისა და საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე, პარლამენტის პრეზიდენტს შეუძლია სანქციის დაწესება ევროპარლამენტის რეგლამენტის მე-4 თავის შესაბამისად. სანქციები შეიძლება იყოს მრავალნაირი, საყვედურით დაწყებული და სხვადასხვა საპარლამენტო ფუნქციის შეჩერებით ან ჩამორთმევით დამთავრებული.[69]

საფრანგეთს სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად შემოღებული აქვს სანქციები, რომლებსაც, სათანადო გამოყენების შემთხვევაში, შემაკავებელი ეფექტი უნდა ჰქონდეს. 2017 წელს საფრანგეთმა მიიღო კანონი „პოლიტიკაში ნდობის შესახებ", რომლის თანახმადაც, ყველას, ვინც მსჯავრდებული იქნება დანაშაულსა ან სამართალდარღვევაში, მათ შორის, სექსუალურ შევიწროებაში, დამატებითი სანქციის სახით აეკრძალება პარლამენტის წევრობა ან წევრობაზე კენჭისყრა არაუმეტეს 10 წლის ვადით.[70]

68 „GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიში, ალბანეთი", ევროპის საბჭო, GREVIO/Inf(2017)13, 24 ნოემბერი, 2017, <https://rm.coe.int/grevio-first-baseline-report-on-albania/16807688a7>.

69 გადაწყვეტილება ევროპარლამენტის წევრებთან დაკავშირებით შევიწროების შესახებ საჩივრების განმხილველი საკონსულტაციო კომიტეტის ფუნქციონირებისა და საჩივრების განხილვის პროცედურების შესახებ, ევროპარლამენტის ბიურო, 2 ივლისი, 2018, <https://www.europarl.europa.eu/resources/library/media/20181003RES14909/20181003RES14909.pdf>. იხილეთ აგრეთვე: შიდა წესები შრომის ადგილზე შევიწროებისა და მისი თავიდან აცილების შესახებ, ასევე, პარლამენტის აკრედიტებულ თანაშემწეებთან და ევროპარლამენტის წევრებთან დაკავშირებული შევიწროების საჩივრების შესახებ, ევროპარლამენტის ბიურო, 14 აპრილი, 2014, <https://www.europarl.europa.eu/RegData/publications/reg/2014/0004/EP-PE_REG(2014)422616_EN.pdf. 2015>.

70 კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21, გვ. 170.

2017 წელს სენატის ბიურომ მიიღო სენატის რეგლამენტის განმარტება, რომელშიც ნათქვამია: „შევიწროების აქტი, მისი ხასიათის მიუხედავად, სენატის წევრებისთვის სავალდებულო ეთიკური პრინციპის დარღვევას წარმოადგენს." ამდენად, ფსიქოლოგიური ან სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დამნაშავეებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით, აკისრებენ სახდელს (ფუნქციების დროებითი შეჩერებით ან მის გარეშე), სენატის რეგლამენტის 94-ე და 95-ე მუხლების შესაბამისად." დისციპლინურ სახდელს აწესებს სენატის ბიურო და დამრღვევს უქვითავს საპარლამენტო ანაზღაურებას. პარლამენტის თანამდებობის პირის დისციპლინური პასუხისმგებლობა განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმის პროპორციულად და, რეგლამენტის 145-ე მუხლის თანახმად, შეიძლება მოჰყვეს თანამდებობიდან მისი ავტომატური გათავისუფლება. პარალელურად, შეიძლება ამოქმედდეს სისხლის სამართლებრივი სანქციებიც.[71]

იტალიაში სემიოტიკურ ძალადობას სამართლებრივი რეფორმებითა და პროცედურებით ებრძვიან. ინტეგრაციის ყოფილმა მინისტრმა, სესილ კიენგემ მოიგო რამდენიმე საქმე, რომლებიც თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მის სექსისტურ და რასობრივ შევიწროებას უკავშირდებოდა. 2017 წელს მარიო ბორგეციოს 50 000 ევროს გადახდა დაეკისრა – მან მინისტრთა კაბინეტი, კიენგეს ჩათვლით, რასობრივად შეურაცხმყოფელი გამონათქვამით დაახასიათა. 2019 წელს კი რობერტო კალდეროლი დამნაშავედ ცნეს რასობრივ სიძულვილსა და შეურაცხყოფაში კიენგეს მიმართ, რის გამოც 18 თვით პატიმრობა შეეფარდა.[72]

გაერთიანებულ სამეფოში, საჩივრების და პრეტენზიების დამოუკიდებელი მექანიზმის (ICGS) ფარგლებში, 2020 წელს შეიქმნა დამოუკიდებელ ექსპერტთა კოლეგია, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს აპელაციებისა და სანქციების თაობაზე, როცა საჩივარი შედის პარლამენტის წევრის წინააღდეგ.[73] კოლეგია სრულიად დამოუკიდებელია, რაც ნიშნავს იმას, რომ არც ერთი პარლამენტარი არ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში.[74] კოლეგიას შეუძლია დაადგინოს შემდეგი ტიპის სანქციები: „მოქმედი პარლამენტარების შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს მომჩივნისა და პარლამენტისთვის ბოდიშის მოხდა, ტრენინგების გავლა, გარკვეულ სერვისებზე წვდომის შეზღუდვა, უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა. ყველაზე მძიმე სანქციების დაკისრებას პარლამენტის

71 „სახელმძღვანელო წესები პარლამენტში ქალთა მიმართ სექსიზმის, შევიწროებისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად", საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU), *op. cit.*, სქ. 2.

72 კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21, გვ. 206-207.

73 დამოუკიდებელ ექსპერტთა კოლეგიის ვებგვერდი, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი, ნანახია 2022 წლის 15 ივლისს, <https://www.parliament.uk/mps-lords-and-offices/standards-and-financial-interests/independent-expert-panel/ >.

74 *Ibid.*

თანხმობა სჭირდება. ყოფილი პარლამენტარების შემთხვევაში, კოლეგიას შეუძლია, გააუქმოს ყოფილი პარლამენტარის საშვი, საჯაროდ გაკიცხოს იგი ან პარლამენტს გაუწიოს რეკომენდაცია, რომ ეს გააკეთოს."[75] 2021 წელს კოლეგიამ შვიდი საჩივარი განიხილა და ექვს მათგანზე ანგარიში გამოაქვეყნა.[76] 2021 წლის წლიურ ანგარიშში მოხვდა პარლამენტის წევრის, დანიელ კავჩინსკის საქმე. იგი დამანაშავედ ცნეს პარლამენტართა ქცევის კოდექსის დარღვევაში და პარლამენტისთვის ბოდიშის მოხდა და უფლებამოსილების ერთი სასესიო დღით შეჩერება დააკისრეს,[77] ვინაიდან „ხშირად იყო უხეში, აგრესიული და თავშეუკავებელი მომჩივნებისა და სხვა თანამშრომლების მიმართ, როგორც შეხვედრების დაწყებამდე, ისე შეხვედრების დროს და შეხვედრების შემდეგ; მან კრიტიკული კომენტარები და ტყუილები დაწერა WhatsApp-ის ჯგუფში, რომელშიც კომიტეტის სხვა წევრებიც იყვნენ; იმუქრებოდა ოფიციალური საჩივრის შეტანით."[78] ეს ზომები განხორციელდა 2022 წლის 19 იანვარს.[79]

ამერიკის შეერთებულ შტატებში სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად იყენებენ სანქციებს, რომელთაც, სათანადო გამოყენების შემთხვევაში, შემაკავებელი ეფექტი უნდა ჰქონდეთ. 2018 წელს შესწორებები შევიდა კონგრესის ანგარიშვალდებულების შესახებ კანონში, რომლის შედეგადაც კონგრესის თანამშრომლებისთვის გაუმჯობესდა სექსუალური შევიწროების ფაქტების შეტყობინების პროცედურა. შესწორებული ვერსიით, შევიწროების საქმეზე მიღწეულ მორიგებაზე ფინანსურად პასუხისმგებელი კანონმდებლები ხდებიან; ასევე, გაზრდილია მიღწეული მორიგებების გამჭვირვალობის ხარისხი. ეს შესწორებები ინიცირებული იქნა კონგრესის წევრის, ჯეკი სპეიერის მიერ, რომელიც ცდილობდა კონგრესის ანგარიშვალდებულების შესახებ კანონის რეფორმირებას, რათა კაპიტოლიუმის თანამშრომლებისთვის შეცვლილიყო სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრების წარდგენის პროცედურა. რეფორმამდე მსხვერპლთათვის სავალდებულო იყო კონსულტაციისა და მედიაციის სამთვიანი პერიოდის და ორი მოსაფიქრებელი ვადის გავლა, სანამ ოფიციალური საჩივრის წარდგენის უფლება მიეცემოდათ. გარდა ამისა, პირველი 30 დღის განმავლობაში მათ ეკრძალებოდათ ვინმესთან იმაზე ლაპარაკი, რომ საჩივრის შეტანას აპირებდნენ კანონმდებლის ან თანამშრომლის წინააღმდეგ.[80]

75 დამოუკიდებელ ექსპერტთა კოლეგიის წლიური ანგარიში: 2021, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი, 3 მარტი, 2022, <https://www.parliament.uk/mps-lords-and-offices/standards-and-financial-interests/independent-expert-panel/annual-reports/>.

76 *Ibid.*

77 *Ibid.*

78 „2021-2022 წლების სესიის მეხუთე ანგარიში დანიელ კავჩინსკის საქმეზე", თემთა პალატის სტანდარტების კომიტეტი, 13 იანვარი, 2022ბ, <https://committees.parliament.uk/publications/8457/documents/85654/default/>.

79 დამოუკიდებელ ექსპერტთა კოლეგიის წლიური ანგარიში: 2021, *op. cit.*, სქ. 72.

80 კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21, გვ. 170-171.

ინციდენტების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა – გზამკვლევი პარლამენტთათვის

- შემოიღეთ ზომები ძალადობის აღსაკვეთად, მომჩივნების დასაცავად და მსხვერპლთათვის ზიანის ასანაზღაურებლად;
- უზრუნველყავით, რომ საპარლამენტო იმუნიტეტი და პრივილეგიები არ აბრკოლებდეს პოლიტიკაში ქალთა მიმართ შევიწროებისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას;
- თავიდან აიცილეთ მეორეული ვიქტიმიზაცია;[81]
- შემოიღეთ გასაჩივრების დამოუკიდებელი მექანიზმი, რომელიც წარმოებაში მიიღებს საჩივრებს და იქნება კონფიდენციალური, სამართლიანი და მსხვერპლთა საჭიროებებზე მორგებული; განსაზღვრეთ, ვის შეუძლია საჩივრის შეტანა, როგორ იქნება უზრუნველყოფილი მიუკერძოებელი გამოძიება და როგორ მოხდება ამ პროცესზე ანგრიშგება;
- უზრუნველყავით, რომ გასაჩივრების მექანიზმის წევრებს გააჩნდეთ ინციდენტების გამოძიებისა და საქმეთა წარმოების გამოცდილება და შესთავაზეთ მათ სავალდებულო ტრენინგები;
- სისხლის სამართლის დანაშაულები გადაამისამართეთ პოლიციაში ან სხვა შესაბამის ორგანოებში;
- აკრძალეთ მომჩივნებისა და მოწმეების მიმართ ანგარიშსწორება და შემოიღეთ გარანტიები ამის უზრუნველსაყოფად;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აკრძალეთ სავალდებულო მედიაციისა და შერიგების მექანიზმები;
- დამანაშავეთა მიმართ დააწესეთ დისციპლინური სახდელები ჩადენილი ქმედებების სიმძიმის შესაბამისად;
- უზრუნველყავით ანონიმური და სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნება გასაჩივრების მექანიზმის, გამოძიებების, გამოძიებათა შედეგებისა და სანქციების შესახებ და თან დაურთეთ დამოუკიდებელი შეფასებები მექანიზმის ეფექტურობის შესახებ.

81 მეორეული ვიქტიმიზაციის განმარტებისთვის იხილეთ, მაგალითად, გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (EIGE): „მეორეულ ვიქტიმიზაციას ადგილი აქვს, როდესაც მსხვერპლს შემდგომი ზიანი ადგება არა უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების გამო, არამედ იმის გამო, როგორაც ეპყრობიან მას ინსტიტუციები და სხვა პირები. მეორეული ვიქტიმიზაცია შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად, მსხვერპლის განმეორებითმა შეხვედრამ მოძალადესთან, განმეორებითმა დაკითხვამ ერთსა და იმავე ფაქტებთან დაკავშირებით, შეუსაბამო ენის ან უტაქტო კომენტარების გამოყენებამ ნებისმიერი იმ პირის მხრიდან, ვისაც კონტაქტი აქვს მსხვერპლთან.“ <https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1358> (ნანახია 2022 წლის 25 მაისს).

კოორდინირებული პოლიტიკა

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად პარლამენტს შეუძლია, გაატაროს კოორდინირებული ორგანიზაციული ღონისძიებები, როგორიცაა კვლევა და მონაცემთა შეგროვება და ხელი შეუწყოს უწყებათაშორის თანამშრომლობას. სტამბოლის კონვენციის თანახმად, პარლამენტებს შეუძლიათ, მკაფიოდ წარმოაჩინონ, რომ ძალადობა ქალთა მიმართ, მათ შორის, პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ, არ იქნება შეწყნარებული. მათ შეუძლიათ, შეაგროვონ და შეაჯერონ მონაცემები, იკვლიონ (პოლიტიკაში) ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის გავრცელების მასშტაბი და მათ მიერ მიღებული ზომების ეფექტურობა. გარდა ამისა, პარლამენტებს შეუძლიათ, ხელი შუეწყონ უწყებათაშორის თანამშრომლობას და ამ მიზნით შემოიღონ ისეთი მექანიზმები, რომლებიც სასამართლოს, პროკურატურას, სამართალდამცავ ორგანოებს, ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას უზრუნველყოფს. მათ შეუძლიათ, ხელი შეუწყონ პოლიტიკის, ღონისძიებებისა და ინიციატივების მუდმივ მონიტორინგსა და მეთვალყურეობას. ეს არის ბოლო მნიშვნელოვანი ნაბიჯი უფრო ფართო ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების გზაზე.

ეუთოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტებში არსებობს ***მონაცემთა შეგროვების, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და კოორდინირებული პოლიტიკის კარგი პრაქტიკების მაგალითები:***

კანადაში თემთა პალატა ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის შესახებ. 2021-2022 წლის ანგარიში სამუშაო ადგილზე თემთა პალატის წევრთა შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის პოლიტიკის შესახებ შეიცავს წარმოებულ საქმეთა მონაცემებს, კერძოდ, შევიწროებისა და ძალადობის შესახებ საჩივართა რაოდენობას, ხასიათსა და მიღებულ შედეგებს, აგრეთვე, მონაცემებს ჩატარებული ტრენინგებისა და მათი მონაწილეების რაოდენობის შესახებ, როგორც ამას მოითხოვს შრომის ადგილზე თემთა პალატის წევრთა შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის პოლიტიკა.[82]

რაც შეეხება ტრენინგ კურსებს, 2021-2022 წელს თემთა პალატამ შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის შესახებ 14 სამსააათიანი პირისპირ მეცადინეობა ჩაატარა. კურსი გაიარა 44-ე მოწვევის პარლამენტის ყველა წევრმა. გარდა ამისა, დამატებით შეთავაზებული იყო ინდივიდუალური ონლაინ ტრენინგი, რომელიც პარლამენტის

82 წლიური ანგარიში შრომის ადგილზე თემთა პალატის წევრთა შევიწროებისა და ძალადობის პრევენციის პოლიტიკის შესახებ: 2021-2022.

ყველა, 227-ვე წევრმა და პარლამენტის წევრთა 535-მა თანამშრომელმა გაიარა. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ცნობიერების ამაღლების სხვა ღონისძიებების შესახებაც, როგორიცაა ბრიფინგები.[83]

ანგარიშის თანახმად, 2019-2020 წელს შესული იყო ხუთი საჩივარი, 2020-2021 წელს – ორი, ხოლო 2021-2022 წელს – რვა. საჩივრები შეტანილი იყო შემდეგი საფუძვლებით: 'უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება', 'შევიწროება', 'სექსუალური შევიწროება', 'დისკრიმინაცია', 'მრავლობითი საფუძველი' და 'ძალადობა' (მათ შორის, ფსიქოლოგიური შევიწროება).[84] ანგარიშში ასევე მითითებულია მოპასუხის სტატუსი (პარლამენტის წევრი, თანამშრომელი, უცნობია), საჩივრის განხილვისა და გამოძიების შედეგები. 2021-2022 წელს შესული რვა საჩივრიდან ერთი უკან იქნა გაწვეული, ექვსი მორიგებით დასრულდა, ხოლო ერთი გადაეცა გამოძიებას, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა.[85]

შვედეთში 2005 წლიდან რეგულარულად იკვლევენ, თუ რა პირობებში ასრულებენ წარმომადგენლობით მოვალეობებს ქალი და მამაკაცი პარლამენტარები და ასევე – მათი შევიწროების ფაქტებს. 2010 და 2015 წლებში ჩატარდა შემდგომი შეფასებები. 2015 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქალებს უფრო ხშირად აწყვეტინებდნენ დარბაზში სიტყვით გამოსვლისას და უფრო მეტ კომენტარს აკეთებდნენ მათ გარეგნობაზე. ახალგაზრდა ქალი პარლამენტარები უფრო მეტად ხდებოდნენ სექსისტური და არასათანადო ქცევის ობიექტი. ამ დასკვნების საფუძველზე, მკვლევრებს დაევალათ თვისებრივი ინტერვიუების ჩატარება პარლამენტის წევრებთან. შედეგები რამდენიმე პუბლიკაციის სახით გამოქვეყნდა და განხილული იქნა პარლამენტში გამართულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებზე.[86]

გაერთიანებულ სამეფოში სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად არსებობს ოფიციალური გამოძიების მექანიზმი. მოძრაობა #MeToo-ს შედეგად, 2017 წელს ბრიტანეთის პარლამენტმა შექმნა ოფიციალური, მრავალპარტიული, ორპალატიანი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პარლამენტის წევრები, პარლამენტის თანამშრომლები, თანაშემწეები და ერთი სექსუალური ძალადობის საკითხთა ექსპერტი. ჯგუფის მიზანი იყო საჩივრებისა და პრეტენზიების დამოუკიდებელი მექანიზმის (ICGS) შექმნა, რომელიც განიხილავდა საჩივრებს პარლამენტში დაშინებისა და შევიწროების შესახებ. 2018 წელს სამუშაო ჯგუფმა გამოაქვეყნა ანგარიში და გასცა რეკომენდაცია, რომ არა მარტო დამოუკიდებელი საჩივრების პროცედურა შემოღებულიყო, არამედ შემუშავებულიყო ახალი ქცევის

83 *Ibid.*

84 *Ibid.*

85 *Ibid.*

86 ფრეიდენვალი და ერიკსონი, *op. cit.*, სქ. 46.

კოდექსი დაშინების, შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების შესახებ, რომელიც გავრცელდებოდა ყველა პირზე, ვინც მუშაობდა ან კანონიერად იმყოფებოდა პარლამენტის ტერიტორიაზე. ჯგუფმა წარმოადგინა ასევე სექსუალური შევიწროების შესახებ შეტყობინებების განხილვის პროცედურები და სწავლების სისტემა ახალი კოდექსის დასანერგად. გარდა ამისა, მათ დანერგეს გადაუდებელი ზომები, როგორიცაა პარლამენტის წევრთა თანამშრომლებისთვის დროებითი საკადრო მხარდაჭერა და ცხელი ხაზის ფუნქციის გაფართოება. დღეს ორივე პალატა ცდილობს 2018 წელს ჩატარებული გენდერულად მგრძნობიარე საპარლამენტო აუდიტის რეკომენდაციების შესრულებას. თემთა პალატამ დანიშნა ასევე კულტურული ტრანსფორმაციის დამოუკიდებელი დირექტორი, რათა იმუშაოს ლორა კოქსის ანგარიშში მითითებული იმ რეკომენდაციების შესრულებაზე, რომლებიც საპარლამენტო სამუშაო კულტურის პრობლემურ საკითხებს ეხება და ხელშესახებ, გაზომვად და გრძელვადიან ცვლილებებს ითვალისწინებს.[87]

კოორდინირებული პოლიტიკა – გზამკვლევი პარლამენტთათვის

მონაცემთა შეგროვება და არსებული პოლიტიკის გადასინჯვა

- უზრუნველყავით ანონიმური და სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნება გასაჩივრების მექანიზმის, გამოძიებების, გამოძიებათა შედეგებისა და სანქციების შესახებ, მექანიზმის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით;
- რეგულარულად ჩაატარეთ კვლევები და გამოძიებები პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ;
- რეგულარულად განახორციელეთ პოლიტიკის შესრულების ეფექტურობისა და გავლენის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება;
- შედეგების შესახებ ინფორმაცია გაავრცელეთ სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების მეშვეობით:
- გაუზიარეთ შედეგები, მიღებული გამოცდილება და კარგი პრაქტიკები სხვა პარლამენტებს;
- მოიწვიეთ დამოუკიდებელი მკვლევრები, რომლებიც ჩაატარებენ ამ თემაზე კვლევებს, მათ შორის, ინტერვიუებს;
- შედეგების საფუძვლიანი შეფასების მიხედვით გადასინჯეთ და გაუმჯობესეთ პოლიტიკა.

87 კრუკი (2020), *op. cit.*, სქ. 21, გვ. 169-170.

ხელმძღვანელობა და თანამშრომლობა

- ჩართეთ პროცესში ხელმძღვანელობა: იმისათვის, რომ ნებისმიერი საკითხი პრიორიტეტად იქცეს, საჭიროა მასთან დაკავშირებით მძლავრი პოლიტიკური ნების არსებობა. თუ შედეგებს არ ითხოვენ ლიდერები, დიდი ალბათობით, შესრულების ნაწილი ხარვეზიანი იქნება. პარლამენტის კონტექსტში, ხელმძღვანელობაში იგულისხმება პარლამენტის თავმჯდომარე, მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები და პარტიული ლიდერები;
- შექმენით პარტიათაშორისი ალიანსები; მიაღწიეთ კონსენსუსს იმის თაობაზე, რომ ეს თემა გახდეს პრიორიტეტი და ერთობლივად მოხდეს მისი მხარდაჭერა;
- გააძლიერეთ პარტნიორობა ქალებს და მამაკაცებს შორის. მამაკაცები უნდა წახალისდნენ, რომ ძალისხმევა გაიღონ ძალადობის აღმოსაფხვრელად, არსებული მიდგომებისა და სოციალური როლების ტრანსფორმაციისა და საკუთარი საქციელით მაგალითის მისაცემად;
- რეგულარულად ითანამშრომლეთ და კონსულტაცია აწარმოეთ გენდერული თანასწორობის ეროვნულ ორგანოებთან და მექანიზმებთან, ასევე, ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან, რომლებიც მხარდაჭერას უწევენ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებს
- პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის ითანამშრომლეთ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა ODIHR, NDI, IPU და/ან UN Women.

დასკვნა

წინამდებარე ინსტრუმენტში განხილულია, როგორ შეიძლება დავუპირისპირდეთ პარლამენტში ქალთა მიმართ ძალადობას და მაგალითების სახით შემოთავაზებულია ეუთოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტების მიერ გატარებული ზომები, რომლებიც მიმართულია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და პარლამენტის უსაფრთხო, პატივისცემაზე დაფუძნებულ და ძალადობისგან დაცულ შრომის ადგილად გარდაქმნისაკენ.

წინამდებარე ინსტრუმენტი აგებულია ***ოთხ პრინციპზე***, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს პარლამენტებში ფართო ინსტიტუციური ცვლილების განხორციელებას. ეს ოთხი პრინციპი ეფუძნება სტამბოლის კონვენციის ოთხ ძირითად ელემენტს, ესენია: პრევენცია, დაცვა, სამართლებრივი დევნა და კოორდინირებული პოლიტიკა. პარლამენტში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების წარმატებისთვის მნიშვნელოვანია ასევე პარტნიორობა და პოლიტიკური ნება.

დამატებითი საკითხავი და გამოყენებული ლიტერატურა

Ballington, Julie. 2018. "Turning the Tide on Violence against Women in Politics: How are we Measuring Up?" *Politics & Gender* 14(4):695-701. <https://www.cambridge.org/core/journals/politics-and-gender/article/turning-the-tide-on-violence-against-women-in-politics-how-are-we-measuring-up/BDE60029419C30C96ACE14BAB8C49E10>.

Bardall, Gabrielle. 2011. B*reaking the Mold: Understanding Gender and Electoral Violence*. Washington, D.C.: IFES. <https://giwps.georgetown.edu/resource/breaking-the-mold-understanding-gender-and-electoral-violence/>

Bardall, Gabrielle, Elin Bjarnegård, and Jennifer M. Piscopo. 2019. "How is Political Violence Gendered? Disentangling Motives, Forms, and Impact." *Political Studies*. <https://doi.org/10.1177/00323217198818>.

Biroli, Flavia. 2018. "Violence against Women and Reactions to Gender Equality in Politics." *Politics & Gender*. <https://www.cambridge.org/core/services/aop-cambridge-core/content/view/AB6B5150F6E594BEA41A3A96879CAAEE/S1743923X18000600a.pdf/violence_against_women_and_reactions_to_gender_equality_in_politics.pdf>.

Bjarnegård, Elin. 2018. "Making Gender Visible in Election Violence: Strategies for Ata Collection." *Politics & Gender* 14(4):690-95. <https://doi.org/10.1017/S1743923X18000624>

Freidenvall, Lenita and Erikson, Josefina. 2020. The speaker's gender equality group in the Swedish parliament – a toothless tiger? *Politics, Groups and Identities*, Volume 8, Issue 3: 627-636. <https://doi.org/10.1080/21565503.2020.1752442>

Commonwealth Parliamentary Association. 2020. Anti-Harassment Policy Guidelines: A Toolkit for Commonwealth Parliaments. <https://www.cpahq.org/media/1gyl5xhi/cwp-anti_harassment-guidelines.pdf>.

IPU 2016a. *Resolution on the Freedom of Women to Participate in Political Processes Fully, Safely, and Without Interference*. Geneva: IPU. <http://archive.ipu.org/conf-e/135/item4.pdf>

IPU 2016b. *Sexism, Harassment, and Violence against Women Parliamentarians*. Geneva: IPU. <http://archive.ipu.org/pdf/publications/issuesbrief-e.pdf>

IPU 2018. *Sexism, harassment, and Violence against Women in Parliaments in Europe*. Geneva: IPU and Council of Europe. <https://www.ipu.org/resources/publications/issue-briefs/2018-10/sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliaments-in-europe>.

IPU 2019. *Guidelines for the elimination of sexism, harassment and violence against women in parliament*. Geneva: IPU. <https://www.ipu.org/resources/publications/reference/2019-11/guidelines-elimination-sexism-harassment-and-violence-against-women-in-parliament>.

Håkansson, Sandra. 2021. "Do women pay a higher price for power? Gender bias in political science in Sweden." *Journal of Politics*. <https://www.diva-portal.org/smash/record.jsf?pid=diva2%3A1565822&dswid=-3790>

Krook, Mona Lena. 2017. "Violence against Women in Politics." *Journal of Democracy* 28(1):74-88. <https://www.journalofdemocracy.org/articles/violence-against-women-in-politics/>

Krook, Mona Lena. 2018. "*Violence against Women in Politics*: A Rising Global Trend." *Politics & Gender* 14(4):673-701. <https://doi.org/10.1017/S1743923X18000582>

Krook, Mona Lena. 2020. *Violence against Women in Politics*. New York: Oxford University Press.

Krook, Mona Lena and Juliana, Restrepo Sanín. 2016. "Violence against Women in Politics: Concepts, Debates, and Solutions." *Politica y Gobierno* 23(1):125-57. <https://www.scielo.org.mx/

scielo.php?pid=S1665-20372016000100127&script=sci_arttext&tlng=en>.

Krook, Mona Lena and Juliana, Restrepo Sanín. 2019. "The Cost of Doing Politics? Analyzing Violence and Harassment against Female Politicians." *Perspectives on Politics* 18(3):740-755. <https://doi.org/10.1017/S1537592719001397>.

Kuperberg, Rebecca. 2018. "Intersectional Violence against Women in Politics." *Politics & Gender* 14(4):685-690. <https://doi.org/10.1017/S1743923X18000612>.

OSCE Parliamentary Assembly. 2021. Annual Report of the OSCE PA Special Representative on Gender Issues – Violence against Women Journalists and Politicians: A Growing Crisis. <https://www.oscepa.org/en/documents/special-representatives/gender-issues/report-17/4247-2021-report-by-the-special-representative-on-gender-issues-violence-against-women-journalists-and-politicians-a-growing-crisis/file>.

Restrepo Sanín, Juliana. 2018a. "The Law and Violence against Women in Politics." *Politics & Gender* 14(4):676-80. <https://doi.org/10.1017/S1743923X18000594>

Restrepo Sanín, Juliana. 2018b. *Violence against women in politics in Latin America.* PhD dissertation. Rutgers University, NJ, USA. <https://www.journals.uchicago.edu/doi/abs/10.1086/704954?journalCode=signs>.

Restrepo Sanín, Juliana. 2020. "Criminalizing Violence against Women in Politics: Innovation, Diffusion, and Transformation." *Politics & Gender.* <https://doi.org/10.1017/S1743923X20000173>.

Rojas Valverde, Maria Eugenia. 2010. "Gender-based Political Harassment and Violence: Effects on the Political Work and Public Roles of Women." *New Solutions* 230(4):527-535. <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/21342874/>

SAP International. 2008. *Combating VAWIP: Revisiting, Politics, Politics and Participation.* 2nd South Asian Regional Conference: Kathmandu: SAP International. <https://iknowpolitics.org/sites/default/files/vawip-report.pdf>

SAP International. 2010. *Violence against Women in Politics: Defining Terminologies and Concepts.* Lalitpur: SAP International. <https://www.ndi.org/sites/default/files/VAWIP_Defining%20TERMINOLOGY%20AND%20CONCEPTS_Final.pdf>

UN Secretary-General's database on violence against women, available at <http://webapps01.un.org/vawdatabase/home.action>

UN. 2018. Report of the UN Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on violence against women in politics. A/73/301. <https://www.ohchr.org/en/documents/thematic-reports/a73301-violence-against-women-politics-note-secretary-general>

UN Department of Economic and Social Affairs, Handbook for legislation on violence against women, available at <www.un.org/womenwatch/daw/v-handbook.htm#handbook>

UNDP and UN Women. 2017. *Preventing Violence against Women in Elections: Programming Guide.* New York: UNDP and UN Women. <https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2017/11/preventing-violence-against-women-in-elections>.

UN Women. 2021. *Preventing Violence against Women in Politics.* Guidance Note. <https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2021/07/guidance-note-preventing-violence-against-women-in-politics>

დანართი 1: საპარლამენტო კოდექსების მაგალითები, რომლებიც ეხება ძალადობასთან ბრძოლას

ODIHR-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომლის დროსაც შესწავლილ იქნა 56 წევრ სახელმწიფოში არსებული მდგომარეობა, 11-მა წევრმა სახელმწიფომ საპარლამენტო „ქცევის კოდექსში" ან „რეგლამენტში" შეიტანა პოლიტიკაში ქალთა მიმართ სხვადასხვა (ან ცალკეული) ფორმის ძალადობის (VAWiP) ამკრძალავი ნორმები (იხილეთ დანართი 2). წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ამგვარი მაგალითები და განხილულია შემდეგ საკითხები:

(1) რას ნიშნავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა (VAWiP)?

(2) სად შეიძლება შევიტანოთ ნორმები, რომლებიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას ეხება?

(3) რა მიზანი აქვს ამ ნორმებს? შრომის

(4) როგორ უნდა იყოს ფორმულირებული პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ამკრძალავი ნორმები?

რას ნიშნავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა?

ნორმები, რომლებიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას ეხება, როგორც წესი, პოლიტიკაში სექსუალურ შევიწროებას ეხება და ხშირად გენდერული ძალადობის სხვა ფორმებსაც კრძალავს. სექსუალურ შევიწროებას სხვადასხვა განმარტება აქვს და შეიძლება იყოს:

კანადა: პარლამენტის მიერ მიღებული სხვადასხვა დოკუმენტი „სექსუალური შევიწროებისა" და სამუშაო ადგილზე ძალადობის რამდენიმე დეფინიციას შეიცავს:

> „სექსუალური შევიწროება" არის „ერთჯერადი ან განმეორებითი სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, კომენტარი, ჟესტი ან კონტაქტი, რომელმაც, გონივრული შეფასებით, შეიძლება გამოიწვიოს შეურაცხყოფა ან დამცირება. ... მომჩივანსა და მოპასუხეს შორის ძალთა უთანასწორობა ან მოპასუხის მიერ ძალაუფლების ბოროტად

გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია სექსუალური შევიწროების დასადგენად, მაგრამ მისი არსებობა აუცილებელი არ არის."[88]

„სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმებით:

- სექსუალური მომსახურების მოთხოვნა ან სექსუალური ხასიათის ძალმომრეობა;
- არასათანადო ან არასასურველი ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა შეხება, ხელის მოთათუნება ან ბწკენა;
- შეურაცხმყოფელი კომენტარები, ჟესტები ან სექსუალური ხასიათის ხუმრობა, რომელიც იწვევს დისკომფორტს ან უხერხულობას;
- შეუსაბამო კითხვები ან კომენტარები პირის სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით."[89]

„რას ნიშნავს სექსუალური შევიწროება? ეს არის სექსისტური კომენტარები, სექსუალური შევიწროება სამსახურში, პირად სექსუალურ ცხოვრებაზე კითხვების დასმა, ლაპარაკი ან წერა, სექსუალობასთან დაკავშირებული უხამსი ან ვულგარული იუმორი, პორნოგრაფიის ან სექსუალური შინაარსის სურათების ჩვენება ან გავრცელება, სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელი ხუმრობები, ჩახუტების, შეხვედრის ან სექსუალური მომსახურების გაწევის მოთხოვნა, სქესობრივ როლებთან დაკავშირებული სტერეოტიპებისადმი მორჩილება, სექსუალური ორიენტაციის გამო პირის მიმართ მუქარა ან მისი დაცინვა."[90]

შევიწროება და ძალადობა: „ნებისმიერი მოქმედება, საქციელი ან კომენტარი, მათ შორის, სექსუალური ხასიათის, რომელმაც, გონივრული შეფასებით, შეიძლება გამოიწვიოს დასაქმებულის შეურაცხყოფა, დამცირება ან სხვა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანი ან ავადმყოფობა; იგულისხმება, მათ შორის, აქ გათვალისწინებული ყველა მოქმედება, საქციელი ან კომენტარი."[91] „ძალადობა სამსახურში შეიძლება მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ფორმებს:

88 წესი 2: „განმარტება", თემთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი: სექსუალური შევიწროება წევრთა შორის, 9 ივნისი, 2015, თემთა პალატის წესდების დანართი, https://www.ourcommons.ca/procedure/standing-orders/Appa2-e.html

89 წესი 7: „ქცევის წესები", თემთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი: სექსუალური შევიწროება წევრთა შორის, 9 ივნისი, 2015, თემთა პალატის წესდების დანართი, https://www.ourcommons.ca/procedure/standing-orders/Appa2-e.html

90 სენატის შევიწროების და ძალადობის პრევენციის პოლიტიკა, 8 დეკემბერი, 2021, დანართი B. https://sencanada.ca/content/sen/committee/432/CIBA/reports/CIBA_4th_APPENDIX_HVP_2021-08-12_E.pdf

91 სენატის შევიწროების და ძალადობის თავიდან აცილების წესები, 8 დეკემბერი, 2021<https://sencanada.ca/content/sen/committee/432/CIBA/reports/CIBA_4th_APPENDIX_HVP_2021-08-12_E.pdf>.

- სიტყვიერი მუქარა თანამშრომლის მიმართ;
- თანამშრომლისთვის მუქარის შემცველი წერილის დატოვება ან მუქარის შემცველი ელექტრონული წერილის გაგზავნა;
- თანამშრომლისთვის მუშტის მოღერება;
- სამსახურში იარაღის ტრიალი;
- თანამშრომლისთვის დარტყმა ან დარტყმის მცდელობა;
- თანამშრომლის მიმართ სექსუალური ძალადობა;
- იმ საგნისთვის მაგ. კიბისთვის) ფეხის კვრა, რომელზეც დგას თანამშრომელი;
- სატრანსპორტო საშუალებით ან სპეციალური ტექნიკით (როგორიცაა, მაგ. ამწე) თანამშრომლის დაჯახების მცდელობა."[92]

ლუქსემბურგი: სექსუალური შევიწროება განიმარტება, როგორც „სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქცევა ან გენდერული ნიშნით ნებისმიერი ქცევა, რომელიც თანამდებობის პირმა უნდა იცოდეს, რომ ლახავს ადამიანის ღირსებას და რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე სიტყვიერი." ამგვარია ქმედება, თუ იგი აკმაყოფილებს სამიდან თუნდაც ერთ პირობას:

1) "ქცევა არის ძალადობრივი და ზიანს აყენებს სამიზნე პირს;

2) ქცევა ქმნის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს სამიზნე პირისთვის;

3) მიუხედავად იმისა, სამიზნე პირი თანხმდება თუ არა ამგვარ მოქცევას, ქცევა საზიანოა პირის პროფესიული ინტერესებისთვის."[93]

გაერთიანებული სამეფო: „დაშინება, შევიწროება და სექსუალური გადაცდომა" არის „ზეპირი ხუმრობა, სტვენა/სექსუალური ხასიათის შეძახილი, პირადული კითხვების დასმა, უხამსი შინაარსის სატელეფონო ზარი, მუქარა ან ანგარიშსწორება სექსუალური მომსახურების შეუსრულებლობის გამო, შეუფერებელი საჩუქარი, სხვა პირის გადაადგილების თვალთვალი საკმარისი საფუძვლის გარეშე, პორნოგრაფიის გავრცელება."[94]

92 *Ibid.*, დანართი B

93 დეპუტატთა პალატის თანამდებობის პირთა წესდება, მუხლი 10; პარლამენტის რეგლამენტის დანართი 4, <https://www.chd.lu/sites/default/files/2022-04/Reglement_CHD_16122021.pdf>.

94 დანართი B: „დეფინიციები", ლორდთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი, <https://www.parliament.uk/globalassets/documents/lords-commissioner-for-standards/HL-Code-of-Conduct.pdf>.

სად შეიძლება შევიტანოთ ნორმები, რომლებიც პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობას ეხება?

- ძირითადად, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე ნორმები შეაქვთ ქცევის კოდექსებში (მაგ.: ალბანეთი, კანადა, ისლანდია, გაერთიანებული სამეფო), რეგლამენტებში (მაგ.: ბელგია) ან „დეპუტატთა პალატის თანამდებობის პირთა წესდებაში" (მაგ.: ლუქსემბურგი).

- ზოგ შემთხვევაში, ეს ნორმები შეტანილია „საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსებში", რომელიც პარლამენტის წევრებსა და პარლამენტის თანამშრომლებზეც ვრცელდება (მაგ.: ხორვატია, ირლანდია).

- რიგ შემთხვევებში, შევიწროებასთან დაკავშირებით პარლამენტებს მიღებული აქვთ სპეციალური წესები:

კანადას მიღებული აქვს „თემთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი: სექსუალური შევიწროება წევრთა შორის", 9 ივნისი, 2015, თემთა პალატის წესდების დანართი.

ფინეთში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე ნორმები შეტანილია „არასათანადო ქცევისა და შევიწროების პრევენციის შესახებ პარლამენტის ბიუროს სახელმძღვანელოში". იგი მიღებული იქნა 2017 წლის მარტში და ითვალისწინებს შევიწროებისადმი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას. ეს სახელმძღვანელო მოიცავს რეკომენდაციებს პროცედურების შესახებ, რომლებიც უნდა იქნას დაცული შევიწროების შემთხვევის დროს, ასევე, შესაბამისი სამსახურების საკონტაქტო ინფორმაციას.

საფრანგეთს სექსუალურ შევიწროების შესახებ ნორმები შეტანილი აქვს „ქცევის კოდექსის განმარტებაში".

გაერთიანებულ სამეფოში „საჩივრების და პრეტენზიების დამოუკიდებელი მექანიზმის" ფარგლებში, 2022 წლიდან მოქმედებს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის პოლიტიკა და პროცედურები სექსუალური გადაცდომების შესახებ და, აგრეთვე, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის პოლიტიკა და პროცედურები დაშინებისა და შევიწროების შესახებ.

რა არის პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ნორმების მიზანი?

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე ნორმების გაცხადებულ მიზნებს შორის არის:

კანადა:

„(a) ისეთი გარემოს შექმნა, ... რომელიც ყველა წევრს აძლევს საჯარო მოვალეობებისა და ფუნქციების საუკეთესოდ შესრულების შესაძლებლობას და რომელიც თავისუფალია სექსუალური შევიწროებისგან...

(b) ხელი შეუწყოს წევრებს, ისაუბრონ სექსუალური შევიწროების ფაქტების შესახებ."[95]

ისლანდია: შევიწროების ამკრძალავი ნორმების მიზანია, პარლამენტის წევრებსა და თანამშრომლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, რომ „სამუშაო შეასრულონ ჯანსაღ გარემოში, სადაც აკრძალულია ნებისმიერი სახის სექსუალური ან გენდერული შევიწროება, დაშინება ან დამამცირებელი ქცევა."[96]

როგორ უნდა იყოს ფორმულირებული პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ამკრძალავი ნორმები?

პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ამკრძალავი ნორმები შეიძლება, ფორმულირებული იყოს, მაგალითად, შემდეგნაირად:

ალბანეთი:

„1. დეპუტატს ეკრძალება სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელყოფს ვინმეს ღირსებას და მიიჩნევა სხვისთვის არასასურველ, მიუღებელ, არასათანადო ან შეურაცხმყოფელ ქცევად, აგრეთვე, ქმნის შფოთისმომგვრელ, არასტაბილურ, მტრულ და დამაშინებელ სამუშაო გარემოს. ამ მუხლის მიზნებისთვის, დეპუტატის ქმედებაში იგულისხმება (მაგრამ არ შემოიფარგლება) ფიზიკური მოქმედებები, სიტყვები, ჟესტები ან ნებისმიერი სახის ვირტუალური კომუნიკაცია.

2. დეპუტატი უნდა ეცადოს, შექმნას და შეინარჩუნოს სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო. თუ მისთვის ცნობილი გახდა სექსუალური ნიშნით სავარაუდო შევიწროების რაიმე შემთხვევა, უნდა იმოქმედოს დაუყოვნებლივ, განაცხადოს ამის შესახებ,

95 წესი 1: „მისია", თემთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი: სექსუალური შევიწროება წევრთა შორის, 9 ივნისი, 2015, თემთა პალატის წესდების დანართი, 9 ივნისი, 2022, <https://www.ourcommons.ca/procedure/standing-orders/Appa2-e.html>.

96 ისლანდიის პარლამენტის – ალთინგის წევრთა ქცევის კოდექსის მუხლი 5(d), <https://www.althingi.is/english/about-the-parliament/code-of-conduct-for-members-of-the-althingi/>.

მოითხოვოს ფაქტის დადგენა და საქმის გამოძიება, რათა უზრუნველყოს, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლს არ შეეშინდეს, არ იყოს დამცირებული და არ უარყოს თავისი განცხადება."[97]

ბელგია: „... საჯარო მოხელეებმა პატივი უნდა სცენ ყველა ადამიანის ღირსებას და თავი შეიკავონ ნებისმიერი ფორმით ფიზიკური, მორალური ან სიტყვიერი შეურაცხყოფისგან, განსაკუთრებით, სექსუალური ხასიათის ქცევისგან და ყოველგვარი სექსუალური ან მორალური ხასიათის დაშინებისგან."[98]

კანადა: „დაუშვებელია, ერთმა წევრმა სექსუალურად შეავიწროვოს მეორე წევრი."[99]

ხორვატია: „საჯარო მოხელე დაცული უნდა იყოს სექსუალური შევიწროებისგან - სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასიტყვიერი ანუ ფიზიკური ქმედებისგან, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად იწვევს საჯარო მოხელეთა ან სახელმწიფო მოსამსახურეთა ღირსების შელახვას და დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას."[100]

საფრანგეთი: „შევიწროების აქტი, მისი ხასიათის მიუხედავად, სენატის წევრებისთვის სავალდებულო ეთიკური პრინციპის დარღვევას წარმოადგენს." ამდენად, ფსიქოლოგიური ან სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დამნაშავეებს, სისხლის სამართლებრივი სანქციებისგან განყენებულად, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით, ეკისრებათ სახდელი (ფუნქციების დროებითი შეჩერებით ან მის გარეშე), სენატის რეგლამენტის 94-ე და 95-ე მუხლების შესაბამისად".[101]

97 მუხლი 10: "სექსუალური შევიწროების აკრძალვა", ალბანეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა ქცევის კოდექსი, , <https://www.parlament.al/Files/RaporteStatistika/Kodi%20i%20Sjelljes.pdf>.

98 მუხლი 3.7, საჯარო მოხელეთა დეონტოლოგიის კოდექსი, ბელგია, 2018, <https://www.lachambre.be/kvvcr/pdf_sections/deonto/Code_de_deontologie_des_mandataires_publics.pdf>.

99 წესი 6: „ქცევის წესები", თემთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი: სექსუალური შევიწროება წევრთა შორის, ივნისი, 2022, თემთა პალატის წესდების დანართი, <https://www.ourcommons.ca/procedure/standing-orders/Appa2-e.html>.

100 მუხლი 6, ხორვატიის საჯარო მოხელეთა ეთიკის კოდექსი, <https://www.sabor.hr/en/code-ethics-civil-servants>.

101 Annexe au XX bis de l'Instruction générale du Bureau, Décision interprétative, საფრანგეთის სენატი, <https://www.senat.fr/reglement/reglement79.html/>.

ისლანდია: „დაუშვებელია ალთინგის წევრების მიერ ალთინგის სხვა წევრების, თანამშრომლების ან სტუმრების მიმართ რაიმე ფორმის სექსუალური ან გენდერული შევიწროება, დაშინება ან სხვა დამამცირებელი ქცევა."[102]

ირლანდია: „საჯარო მოხელეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ქცევა სხვა კოლეგების მიმართ იყოს სამუშაო ადგილისთვის შესაბამისი ... საჯარო მოხელეებმა ხელი უნდა შეუწყონ სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნას და ამ მიზნით დაიცვან და შეასრულონ საჯარო სამსახურის პოლიტიკა შევიწროების, სექსუალური შევიწროებისა და დაშინების შესახებ."[103]

გაერთიანებული სამეფო: „ქმედება, რომელიც სექსუალურ გადაცდომას უთანაბრდება, ამ კოდექსის დარღვევაა."[104]

102 მუხლი 8, ალთინგის წევრთა ქცევის კოდექსი, ისლანდიის პარლამენტი, <https://www.althingi.is/english/about-the-parliament/code-of-conduct-for-members-of-the-althingi/>.

103 საჯარო სამსახურის სტანდარტებისა და ქცევის კოდექსი, 2004, ნაწილი 12, ირლანდია <https://prod-g2g-assets.s3.amazonaws.com/documents/Civil-Service-Code-of-Standards-and-Behaviour_1.pdf>.

104 წესი 17, ლორდთა პალატის წევრთა ქცევის კოდექსი, გაერთიანებული სამეფო, <https://www.parliament.uk/globalassets/documents/lords-commissioner-for-standards/HL-Code-of-Conduct.pdf>.

SCAN ME

Office for Democratic Institutions and Human Rights

OSCE ODIHR